

იველი

1882

წელიწადი მუდრე

№ VI, ივნისი.



თბილისი  
მ. როჭინიანცის და კომპ, სჯამბა.  
1882

ივნიის წიგნის შინაარსი:

- I. შვილ-დაკარგული. . . . . ი ქაჯიასი.
- II. რკინის გზა (ლექსი) . . . . ს. ნასიძისა.
- III. განთიადი (რემანი) (გაგრძელება) შაქროსი.
- IV. საფუძვლები სახალხო გა-  
ნათლებისა (გაგრძელება) . . . ნიკო ხიზანოვისა.
- V. \* \* \* (ლექსი) . . . . . ნესტ. უბ — შვილისა.
- VI. შეპყრობილი ფრინველი  
(ლექსი) . . . . . ფ. ნ.-სა
- VII. ახალგაზდურ მოხუცებუ -  
ლობაზედ. (უ. ხუდადოვის უკა-  
ნასკნელა სტატიის შესახებ) . სტ. ჳრელაშვილისა.

№ 42.

# იველი

სალიტერატურის და საზოგადოებრივ

ჟურნალი

წელიწადი მეორე

№ V.I, 1882.

6090



თბილისი

მდ. როჯინიანტის და კომპ. სტამბა.

1882



Дозволено цензурою 18 Юня 1882 года, Тифлисъ.

## ზვილ-დაპარგული.

ზამთრის ცივი ღამე იყო. ოთახში ვისხედით სუთი თუ ექვსი კაცი. ბუნარში გროვა ნაკვერჩხლები ოქროს-ფერად ელვარებდნენ და ათბობდნენ ოთახს. ჩვენში ძიულ სინუშე იყო. ერთიღა ბუნართან ცეტერის ძაღლსედ მწოლარე ჰატანა ხატავერი კატა, რომელსაც თვალები დაკხუჭა და ხრუტუნებდა, მსოფლად ის ერთი ანსება ცოტათი აცხაკელებდა ჩვენს მუუდრეობას. ჩვენ ყველანი შეგცქეროდით ლოგინსედ მკდომ, ფერმინდილ მოხუცს, რომელიც მუთაქასედ იყო ცალი იდაუვით მიწოლილი, თავი ძირს დაეხარა და წერილს ჩასცქეროდა. გაწყობილი ჩიბუხი უგრძნობლათ სელში ეჭირა, თვალებიდგან ცრემლები ჩამოსდიოდა და თეთრ წვერსა და უღვაძებს უსკვებდა. რამოდენიმე ხნის სინუშის შემდეგ, მოხუცმა ერთი გულისანთ ამოიოხნა, ცრემლიანი თვალები მოიწმინდა, ჯავრიანად ჩიბუხი მოსწია, კომლიც ბლომად გამოაბოლა პირიდგან, ჩვენკენ მოიხედა და სთქვა:

— მადლობა ღმერთს! გიდეგ მოკვსწარი?!... ჩემი დათა ცოცხალი ყოფილა...! მის ნაწერ ბართსაც ვეღირსე!... მოხუცმა დაასრულა ეს სიტყვები თუ არა, თვალები ისევ ცრემლებით აკვსა, სევით აიხედა და მადლის ხმით სთქვა —

— სუდავო, რა ცოდვილი ვუოთილვარ?!... ქვეყანაზედ სანუ-  
გეშოთ ერთი შევილიდა მეკანდა და ისიც დამიკარგეს! ათი წე-  
ლიწადა, რაც მისი ამბავი არ გამოვიდა და ეს ბაჩათი გი ნამდ-  
ვილ მისი ნაწერია. რა უნდა ქნას უბედურმა მოხუცმა მამამ,  
რით შეუძლიან უშველდეს თავის ერთს ბედ-კრულ შეიღეს! რომ  
საზოგადოთ ქართველებს ის უწინდელი გაუკაცობა დაგვრჩენო-  
და გულში და ეკეთ მარცხენალ თავ-მოყვარეობას არ დაუე-  
მოხუბინეთ, ამოდენს ტანჯვას ის სჯობდა, რომ შეგრა გულში  
ტამბახა და გამეთავუბინა ჩემი ცხოვრება.

ჩვენ რამდენიმე სანუგეშო სიტყვები ვუთხარით: მოხუცმა  
მწუხარის სახით შემოგვიღია —

— დიდი ხანია, რაც ეკეთი სასჯელი დაუწესებია ჩემთვის  
სვედრს და ვიტანჯები; თუმცა დათას სიტყვების გაგონება  
ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდათ გასახარია, მაგრამ ეგ უფრო  
მტანჯავს: ვინ იცის, რა რიგ სასტიკად ეზურობიან და სტანჯ-  
ვენ! მისი წერილი თითქმის ორი წელი წაშლილია და ახრი  
სწორეთ არ გამოდის... ცოტა ხან კიდევ სიჩუმე ჩამოვარ-  
და.

ამ დროს ჩრდილოეთის ქარი ჩვენი ოთახის კარსა და  
ფანჯრებს საშინლად ეტანებოდა; მრთელი სახლები თითქმის  
ქანაობდნენ. ჩვენი უურადღება მიიზიდა ცუდმა ტაროსმა, ცოტა  
ვიბასეთ ცუდ სამთარსედ და მეჩე ისევ სიჩუმე შეიქნა.

წასვალი გზა არსათა გვექნდა, უკრძნობლათ შევსტქე-  
რდით მოხუცს და სიტყვას ვერ ვზოულდობდით ისეთს, რომ-  
ლითაც გვენუგეშებნა ტანჯული ჩვენ დიდ-ხანს ვიყავით ამ  
მდგომარეობაში. მოხუცმა შენიშნა ესა და თითონვე გაგვაწვე-  
ტინა სიჩუმე.

— თუ არ მოგაწეინებათ და ყურს დამიგდებთ, ჩემი უბედურნი ცხოვრების ამბავს გაიზიარებთ.

ჩვენ დიდი მადლობა მოვასსენეთ და ესთხოვეთ, რომ ეთქო. ამ სიტყვებით მონუცი ცოცხალი გამხსნედა, ტანტსედ სწორედ დაჯდა, ჩინუნი ახლად გამართა. სამჯერ, თუ ოთხჯერ ბოლი მადიანად გამოუშო პირიდგან და დაიწყო ხასი:

— მამი-ჩემის სიკვდილი მე ძლივს მახსოვს. ჩემს მეტი შვილი არ დარჩომია მას. სახლში მარტო მე და დედა ვსცხოვრობდით. ყმა და მოსაძსახურე გვარაინად გვეკანდა. რაკი დედას ჩემს მეტი შვილი არ ყოფებია, ძრეულ ნებოვრათ მზრდიდა და გაგიჟებოთაც ვუჯვანდი — რასაც დანახავდა, თვალის სასიამოვნოს, ჩემთვის უნდოდა: „ეგ ჩემი რვეზინსათვის შინდაა“. ჩემთან ესეთი მოკიდება ბოლოს ჩვეულებად გარდაეშვა. მეც ძიულ მიუვანდა დედა, მარად მოცადინე ვიყავ მესიამოვნებინა მისთვის. დედა გარდა ჩემის სიყვარულისა, ძრეულ მლოცველი, ჯვთის მოშიში და გაჭივრებული საღვთის შემბრლებელი იყო. მაგალითი არ ყოფილა, რომ დედას რომელიმე ჩვენი გლეხი დაესჯა. ის მუდამ კეთილის გულით, ძმობით და დედა-შვილობით ევიღებოდა. ამისთვის ჩვენი გლეხები ყველანი დიდი ერთგულნი იყვნენ ჩვენნი და ყველა შებატონებულ კარკათ ჩვენი საქმე მიდიოდა. მეც დედის პატივის ცემით მის მაგალითს მივდეკვი და დიდ თვისებით ვიყავ გლეხებთან; ისინი მუდამ ჩემ სასელს იფიცავდნენ, ისე კი არა, როგორც საზოგადოთ იყო გლეხობაში მიღებული სიტყვით, სხვის გასაგონათ შებატონებს იფიცავდნენ და გულში კი სწყევლიდნენ — არა... მე ისინი მიფიცვიდნენ წრთელის გულით და მარად მოცადინი იყვნენ ჩემი და დედი-ჩემის სიამოვნებისათვის.

იმ დროებაში ექიმი სოფლად ძალიან ძვირი გახლდათ,

თუმცა არც ახლა ვარტე ექიმებით მდიდრათ. დედა-ჩემს ჭქონდა  
 ძველი ხელთ ნაწერი საექიმო წიგნები და მუდამ იმას კითხუ-  
 ლობდა, ამზადებდა წამლებს, და თუ ვინმე შეიქნებოდა ავად მა-  
 ხლობელ სოფლებში, ყველანი მასთან მოდიოდნენ. დედა ძიელ  
 ვარჯა მიიღებდა სწულას ჭირისუფალს, გამოჭკითხავდა მას  
 სწულას მდგომარეობას; თუ დედას შეძლებს ექნებოდა, თითონ  
 ნახვიდა, წამლებს მისცემდა და დაწიგებდა ჭირის უფალს, თუ  
 რა რიგად მოეკრათ ავამყოფასთვის, ან საჭმელი რაგორი  
 ეჭმიათ. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ გლეხებს არ ექნე-  
 ბოდათ საშუალება, მაშინ თითონ დედა მისცემდა იმათ ყოველ-  
 სავე შემწიობას. ამიტომ გლეხების აზრი იყო — თუ სწე-  
 ული მოჩნებოდა, დედა-ჩემს მოწყალებით, და თუ მოკვდე-  
 ბოდა, მაშინ ღვთის ნება იქნებოდა და მის წინააღმდეგი ვინ  
 იქნებოდა. მე შინაობაში დედამ ქართული წერა-კითხვა მასწავ-  
 ლა და სამღვთო წიგნები. სასწავლებელში არ გამომსარდა,  
 რადგანაც თითონ სოფელში სცხოვრობდა და ჩემი მოშორება  
 მას ძლიერ ეძნელებოდა. მე უმაწვილობიდან შევეჩვიე კარგ  
 ცხენსედა ჯდომას, თათვის სწოლას, გურდვლობას და მწიერ-  
 ბას, რომელსაც იმ დროებაში დიდი მნიშვნელობა ჭქონდა უმა-  
 წვილ-კაცობისთვის. ჩვიდმეტის თუ თერთმეტის წლის ვიყავი,  
 რომელსაც მოესწონდა ყველა ჩემს მნახველს: უმაწვილკაცობა მა-  
 ქებდა სიმახდით და კარგის ამხანაგობით, მოსუცნი სიმშვიდით  
 და ზრდილობით. სამეტისანი თავის ქება მომივიდა, მაგრამ კაცი,  
 რომ ამსაყებს გაერთობა, ეგრა. სილამაზითაც არ ვიყავ ცუდი.  
 იმ დროების ბევრ კარგ ოჯახის მებატონეს უნდოდა ჩემთვის  
 მოეთხოვებინა ქალი და მაჭანკლებიც მრავალნი დადიოდნენ. დე-  
 დაც ძიელ მანდომილი იყო, რომ ცოლი ადრე შემერთო.  
 ბევრჯერ გამოგონია საბრალე დედა ჩემის წუწუნი და მინახავს



ცრემლიანი თვალები, რომ მე რაღაც წლისა ვიყავ და ცოლი არ მომეყვანა ჯერა. იმ ცრემლებს ბევრჯერ აუღელვებია ჩემი გული, მაგრამ შტეტიცოთა მქონდა გულში ჩაბეჭდილი ის აზრი, რომ თუ წინეთ ქალს არა ვნახავდი, ისე არავის ვერწმუნებოდი. და იმ დროში ქალის დედ-მამა აწას-გზით არ გახდებოდა თანხმა, რომ თავიანთი ქალი თამამათ უჩვენებინა სასიძოვროს.

ერთს დღეს ბიძახემს ქორწილი ჰქონდა, ჭალი გაათხოვა. საზოგადო ჩვეულებისამებრ, მრავალნი ნათესავნი და ნაცნობნი ჰყვანდა მიჰპატიუებული. მე და დედა-ჩემი, რაღა თქმა უნდა, იქ ვიყავით, როგორც მასპინძელნი. იწყეს სტუმრებიც მოსვლა, სხვათა შორის მოვიდა ბიძა-ჩემის ცოლის ძმაც თავის ცოლ-შვილით, რომელსაც მოჰყვა თქვესმეტის თუ ჩვიდმეტის წლის ქალი, დასტურ ლამაზი. იმ დროს გასათხოვარ ქალს სხვა სოფლებში და ეგრეთ შემთხვევაში ვი არა, თავიანთ ოჯახებში სტუმრებს არ აჩვენებდნენ, თუ არ ძლიერ ახლო ნათესავს. ჩვენ, როგორც მასპინძელნი, მივიგებეთ სტუმრებს. დედა-ჩემმა დაინახა ეს ახალ-გაზდა ქალი თუ არა, ჩვეულებისამებრ უცებ წამოიძახა: «ეგ ჩემი რეკანისათვის იქნება კარგიო.» და ახალ-გაზდა ქალი ჯერ თავაზიანათ ჩაკონა და მერე გულში ჩაიკრა, ქალის დედ-მამამ მსწრაფლად მაუკეს დედა-ჩემს: «ჩვენც მაგისთვის მოვიყვანეთო», და სიცილი დააყარეს ყოველის მხრიდან. დედის სიტყვები გულში ჩამწვდნენ საშინლად, ტანმა ყრუოდა დამიწყო, თვალებზედ ნისლი გადაშეფარა, (იმ მინუტში რომ თავისუფალ ადგილზედ ვეოფილვიყავ, დიდ საყვადურს ვეტყოდი დედას) მაგრამ უცებ გრძნობაში მოკედი, ტანი როგორღაც შევანძრე, რომ სირცხვილი თავიდგან მომეშორებინა, სახეზედ მარტათ ხელი გარდავიკლე და გამოვიხედე თვალში... ჩემს მას-ლობლად იდგა ახალ-გაზდა ქალი, ლამაზი, მაღალი კისერი

ცოტათი ძარს დაქანა, თუთნი ჰირის სხე სირცხვილისაგან მანის ვარდსავით გარდაშლდა, შავი მსხვილ-მსხვილი თვალები თითქო სირცხვილით რასმე დასცქეროდნენ. თუმცა აქედან და იქედან ქალები ეაფურსებოდნენ, მაგრამ სირცხვილისაგან მანც ძიელ ცუდ მდგომარეობაში იყო, რომ სიცოცხა ჩემს არ მოეკიდნა ხელი და არ გაეუფანა მეორე ოთახში. ჩემში საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა საღომეს სახემ და განსაკუთრებით მისმა უშხანმა შე-შავმა ივლებმა. საღომეს დედ მამაც მომეაფურსნენ, როგორც შორეულ ნათესავს. მე სირცხვილი მოვიშორე თავიდან, ცოტა გაკოთამედი და ვიწვე იმართან თავისუფლად ბასი. საღომეს დედაც თან შეჭყვა ოთახში. საღომეს მრავალი ეზურსულებს, ცოტა გაათამამეს, ჰირა დაბანისეს, ნამცხვარი ტანისამოსი გამოუცვალეს და გამოიყვანეს წაღაში, სადაც დიდ-ძალი სტუჩრები იყვნენ. მე დაკინახე თუ არა, ისეც დამიწყო გულმა ძგერა. თავი მორცხვობით გიდეკ ცოტა დახრილი ჰქონდა, ლამაზ თეთრ ჰირის სხეს უშინასი შავი თვალი-წარბა და მატარა წითელი ტუჩები შესანიშნავად ამშვენებდნენ. მისი შეხედულობა, გარდა სილამაზისა, თვალ-წინ წარმოგიდგენდა რაღაც ღვთიურ სათნოებას და კეთილ სუფობას. მე დიდ-ხანს ვერ გავუჩერე თვალები და გამოველ გარედნელის ხმათ ისმოდა საზოგადოებაში საღომეს ქება ზოგი ქაღბატონები ძიელ ცუდის თვალით უსცქეროდნენ და ეუბნებოდნენ ერთი მეორეს: «ეგ რა თავხედობა რამ არისო, ვის გაუგონაა გასათხვარი ქალის გამოყვანა ეკეთს საზოგადოებაშიო». და ზოგი სულ წინააღმდეგნი იყვნენ იმათი: «გარგი ქალი ჰყოლიათ და სახლში რათ დამალავდნენო!» მე იმ საღამომედ ორ-ჯერ თუ სამჯერ შევხვდი საღომეს და მასწინე სახე ორივეს ცუცხლავით გაგვიანდა.

ჯვარის-წერა ვარგათ კათაგდა, შეიქნა ქიფი, ღვინი და თამაში. დედა ხეშმა მკითგა — „ხომ ღამაში არის საღამოე“. მე სირცხვილით ზასუხი ვუღარ მივეტი. მან მადლის ხმით იწყოსიცილი. მე უეცრად ხელიდგან დაუსხლტი და წაველ ჩემთვის.

სტუმრები გაქმსადენ თავიანთ ოჯახებისაკენ. მე ბიძა-ჩემმა მიიხრა, რომ საღამოს დედ-მამა გაშეტილებინა ჩვენი სოფლიდგან. ცხენი მოკაყვანინე და გავუეკ. საღამოს დედ მამამ შუაში ჩამიყენეს. ცხენები ხელა მიგკოვანდა და სასიამოვნო ამბებს მიაშობდნენ. მე ძრეულ გულ - დამშვიდებულად ყურს გუგდებდი იმათ ბაას. საღამო ერთობ დაძრწვენილი იყო, თავი მუდამ ძირს ჭქონდა დასრილი და როდესაც შესიშნავდა სხვებს, რომ ამბებში იყვან გაერთუნნი, მარდათ გადმოიხედავდა ჩემკენ, შემხედავდა თუ არა სახეზედ, თავს ისევ მადე ძარს დახრიდა, და სახე ვარდისფრად უგავდებოდა. იმის სახის დანასკა ხემს გულში მხივიით გაიჭრებოდა და მწველი ცუცხლი მთელს სხეულს მომედებოდა. ეგრე რომდენიმე გზა გავატილე და შემდეგ მოხრვეს, რომ დავბრუნებუდიყავი შინისკენ. მე დავემშვიდობე და დავბრუნდი. დედა სახლში არ დამხვედრია და მე ბადისაკენ წაველ გასართობად. განათხულის მშენიერ საღამოს ჩიტები აღტაცებით შესტიკტიკებდნენ. მინდოდა. როგორმე გავმხიარულებუდიყავ, მაგრამ ჩემთვის ყოველივე ამაო იყო; რადაც უხილავი ძალა გულს მიხმავდა და აწვითარს საშხიარულოს არ მამდევდა. იქაც ვერ გავიქულ და წამოველ სახდისაკენ, ღოგინი გავაშლევინი და დავწქი. თვალში ძილი არ მომდიოდა და უსიამოვნოთ ვტრიალებდი ღოგინშ; მრთელი დამე ასე გავატარე. გათენებისას ცოტა მიმეძინა, მაგრამ რა!... მაშინვე თავალ-წინ საღამოე წარმომიდგებოდა, მისი ღამაში, დაწყნარებული სასე, ვითომც ძირს იცქირებოდა და სახდისხან ეშხიანის

თვალებით მოხსენებდა გადმოხსენებდა ჩემკან. მე გული თრთო-  
ლას დამიწყობდა... მაშინვე გამომედიდებოდა და ეგრე ვწვა-  
ლობდი. დღითი ოჯახში ძვირე ცოტას ვრჩებოდი, მე სძინად  
დავდიოდი ჭალებში და მარად სადომეხედ ვიფიქრობდი. მე  
შეკანდა ერთი ერთგული, უმაწვილობიდან ჩემთან შეხრდილი,  
ბიჭი — გოგია. გოგიას მე ისე გაგიჟებით ვუყვანდი, რომ მეტი  
არ შეიძლებოდა; მე მას არავითარ ჩემ საიდუმლოს არ დაუჩა-  
რებდი. კარდა გოგიასი, ამ ამბის გამხედა არავისთან შემეძლო.

ამ რიგით გავიდა ჩამოდენივე დღე. ერთ დამეს სალო-  
მეს ფიქრით თვალში ცრემლი არ მომსვლია. უძილობისაგან  
დაქანცულს, დღით ჩამძინებოდა. მზე კარგა ამოსულიყო, დე-  
და ერთხელ თუ ორ-ჯერ შემოსულიყო, გენახე, ტუბილს ძილში  
ვიყავ, არ გავედივინე. ამ დროს ჩემსას მოსულიყო ბიძა-  
ჩემი. დედა-ჩემის ოთახში ისინჯენ; შუაში კარები გახუბული  
იყო. ბიძა-ჩემი მალის ხმით ღაზარავობდა. მე ძილში ჩამესმა  
და გამომვლიდა; ყური დაუგდე და ვიცან ბიძა-ჩემის ხმა.

— რევაზი სად არის? ჭკითხა დედას.

— სძინავს. რევაზს დედას.

— რა დროს ძილშია, განა ეგრე გვიან იღვიძებს?

— აქნამდის ადრე იღვიძებდა, მაგრამ ეგ ჩამდენივე დღე  
იქნება, ეგრე დანეყო. დღეს ორ-ჯერ შეველა გასაღვიძებლად,  
მაგრამ ისე გულანათა სძინავს, შემეცოდა, ვერ გავადვიე. რა-  
ღაც ქორწინების ქმდეც ძვირე დაღონებული არის.

— არა უშავს რა, ცოლი შეკრთოთ და გამხინჯულდება.

— კარგია, ღმერთმან კარგი დაგმართოს, მაგრამ მე ვი ვერ  
მოვესწარ ვერ მაგის ცოლის თხოვნას. ამოთხვრით სთქვა დე-  
დას.

— იცი, ჩემო რძალო, ვისხედ ვიფიქრობ?... ჩემი ცოლის

ძმის ქალი — სალამე შევრთათ. მე მგონი, რომ ცუდი არ უნდა იყოს, თუ თქვენც დამეთანხმებით.

— ძალიან კარგია და ჩემ მძაფსაც ბევრი ველაშარაკე ამის თაობაზე, მატრამ ესა გვაქვს სამჯავროდ: ნათესაობამ არ დაგვანბნო. თუ ამისი არ შეშინოდას, ამდენს ხანს ჯვარსაც ვადავწერდი.

— გასაკვირველია, დიკრთმანი! ეგ ქალები სიღვან სად გამონახავთ ამ ნათესაობას!... არა, ბატონო! თქვენ ეგ მითხარით — კანონმა რომ ნება მისცეს და კარგი მზითუევიც ავალბინო, მასინ ხომ წინააღმდეგი არ იქნებით?

— ნეტა არ იქნება!

— მაშ კარგი, სოქვა ბიძა-ჩემმა, გავიდ, თ რეკავთან; ერთს იმას ურუბეს აუწევ ამოდენა ძილისათვის...

ადგნენ ორნივე და შემოვიდნენ ჩემს ოთახში. მე თავი მოვიმდინარე, ვითომ არ მესმოდა ამათი ბასი. ბიძა ღვინთან მოვიდა გასაღვიძებლად. მე დავასწარ და ადგომა დავაპირე, იმან სული დამადო, აღარ ამიშო, დამიჯდა წინ, და დედაც თავით.

— რა საბატონიშვილო ძილი დაგიწევია! მითხრა ბიძამ.

მე შემრცხვა.

— კარგია, კარგი! ნუ სწუხდები... მე შენთან საქმე მაქვს, თუ შესაფერ თუ შექმნებს დამზირდები, მცინარის ზიროთ შეუბნებოდა ბიძა.

— თუ შექმნებს მოგართმევს, მაშ რას იქნ! დედამ გაწყუპტინა სიტყვა —

— ჯერ მეც გამავებინეთ, ვუთხარი მე, და თუ ეღიკება რამეთ, დიდის გმადოფილებით მოგართმევთ, მეოქი.

— მაშ კარგი, სოქვა ბიძა-ჩემმა, სალამეს გაგირიგებ ცალად —

რადა დაგარწმუნეთ, რომ ამ სიტყვებმა მე ერთიან გამაცოცხლეს.

დიდი ხანი არ გასულა საქმის მოწყობამდის და მეც წამიყვანეს ჯვარის დასაწყრად. ჯვარის-წერის შემდეგ საღამო დიდი ხანი არ დამიყოფნებია თავის ოჯახში, მოვიყვანე შინ. საღამო დედაჩემს ძალიან კარგა შეეთვისა, მე მეკონა ქვეყნის ზურგზედ სემსედ ბედნიერი კაცი არ დაიბადებოდა, საბრალოდ და ნეტარებით შეგვხაროდა და მარად ღმერთს მადლობას სწირავდა. ბევრი იმ დროების ოჯახები შესატრიდნენ ჩვენს გამყოფილებით ცხოვრებას. სამი წელი გავიდა ეგრე, რომ საღამო არ დაეჩხულებულა. აი ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი, რომ იმ დროებით შავბკვადრიაევი მეც...

დედა ჩემათ წუწუნებდა: რატომ შვილი რა უხნდებათო. სამი წლის შემდეგ საღამო დაეჩხულდა. უნდა გენახათ საბრალოდ დედაჩემის მსიარულებს! თითქმის მსიარულებამ გააყვამწვილა. გვეყოლა დათა: მაგრამ საღამოს გი ღოგინობასეოდ დაჭყვას სნეულებს და მოკვდა. იმის სიკვდილით, რა რიგი თავისარი დაეცემოდა ჩემ ოჯახს, ამას თვით მიხვდებით. ჩემსედ მეტათ შეწუხებული და დასჯილი დედაჩემი იყო. ორივე ერთმანეთს გამალებოდი და ისე ვსტიროდი. ჩემი ერთგული გოგია ცოლ-შვილიანი აყო. მან თავისი ცოლი მოიყვანა დათასთანგას მიძად; დედას ემაწვილი თავის ოთახში ჭეჯანდა და დასტყროდა; დაინახავდა თუ არა ემაწვილის თვალებს, მაშინვე საღამო შოგონდებოდა და ტირილს დაიწყებდა. მაგრამ, ნათქვამია: უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, მეც ისე მომივიდა და ორი წლის შემდეგ დედაც დავმარხე.

მე გადავსწვიტე გულში, რომ შვილი გამომეხარდა და ჩემი ცხოვრება გამეტარებინა უცხოოდ. იმ დროებით ემაწვი-

ლიც ძვიელ შემკვიან; ანც დღით და ანც ღამით ან მოკრდებოდა- დღისით შევსრქეკოდი მის თამაშს, სტუნაობას და ყმაწვილურ ცუქობას; ხშირად მოისურვებდა თავის ძამძსთან წასვლას, რომელიც იქვე მახლობლად ესახდა, სადაც მას დაახვედრებდნენ ჰატარა ვლესის შვილები ცოდნად ჩიტებს და სხვა სათამაშოებს.

ამ სახით იზრდებოდა ჩემი ჰატარა დათვიკ... ათი წელი რომ შეუსრულდა ყმაწვილს, მივეცი სკოლასში. დათა სიამოვნებით შეუდგა სწავლას, მალე შეითვისა თავის ამხანაგები: გაკვეთილებს ყოველთვის ადრე მოამზადებდა და შემდეგ თამაშობდა ყმაწვილებთან ანუ შეუდიდა რომელსამე ამხანაგს.

ამ რიგათ სწავლობდა დათა და ყოველ წლებით გადადიოდა შემდეგ კლასებში.

დათამ კარგათ გაათავა გიმნაზია. მიიღო მოწმობა და გასწია რუსეთისაკენ უმაღლესს სასწავლებელში. მე ხშირად მომდიოდა მისგან წერილები და ვუგზავნიდი შეძლებისადაგვარად ფულებს. ორი წლის შემდეგ მიტარდასანე სამგზავრო ფულები და ესთხოვე, რომ სასაფხულოდ ჩამოსულიყო და გენახე მეცა და თავის სამშობლოც; მას აღესრულებინა ჩემი თხოვნა და მოვიდა. ამ ორი წლის განმავლობაში დათა ძვიელ დაბრძნებულყოფი, რომორც სახით, გვრეთვე გონებითაც.

დათა მრთელი ზაფხული დაჩნა ჩემთან; ჩვენ ხშირად დავდიოდით სოფლებში და ქალაქებში.

შემოდგომასუდ დათა ისევ წავიდა რუსეთისაკენ სწავლის დასასრულებლათ, მან მე აღმითქვა, რომ ორი წლის შემდეგ ის დაასრულებდა ვუჩსს და ჩამოვიდოდა თავის სამშობლოში. მე იმ სანატრულ დღეებს ისე მოველოდი, რომორც ციურ მანანას. წიგნებს ხშირად მწერდა და მატყობინებდა თავის ამბებს.

ორი წლის შემდეგ მე გაუგზავნე სამგზავრო ფულები და მოველოდებოდი ყოველ-დღე... დაიგვიანა. წიგნი მივსწერე — ზასუხი აწსაით იყო. მეორეთ მივწერე — კიდევ ზასუხს არ მამოკვდა. ეგრე წამდენიმე წიგნი გაუგზავნე და ნაცვალე არ მომივიდა. მე ჯავრით გარკვებული ვიყავი, რა მექნა, არ ვიცოდი. ყოველ კაცს შეესწიოდი ჩემს უბედურებას. გავიდა დიდხანი და მე ამ რიგათ ვიტანჯებოდი; მეჩმე მითხრეს: უკნა შვილი რაღაცა დაწამა უფრობისათვის დაჭკარგესო. რა დანაშაულობას ჩადენდა ისეთი კაცი, რომელსაც უმაწვილობდგან ზატეოსებისათვის გული უდგულა მეთქი.

— კაცი ხომ არ მოუკლავს? მეთქი.

— არაო, მეუბნებოდნენ.

— ხომ არაუინ გაუჯარცვია? მეთქი.

— არაო.

მე უგონობლად ვიყავ გაჩერებული და არა მესმოდა რა რამოდენათ დათას ამ რიგი შემთხვევა მტანჯავდა, ორ იმოდენათ მტანჯავდა გაუგებარი აზრით. ეგ ათი წელი იქნება, რაც ამასკედ დღისით და ღამით ვიფიქრობ, ვსტირთ, ვსწვალბ და ვიტანჯები, მაგრამ ჩემთვის ერთი საფუძვლიანი ნუგეში არ საით არა. მე თავში არ მომდის ის აზრით, თუ დათა თავის ზატეოსან მიზანს ოდესმე უმტყუნებდა, მაგრამ ეგ კიდევ უფრო მაკვირვებს, განა უდანაშაულოთ კაცს კანონი დაჭკარგავს?! ...

მონუცმა ისევ ზაწათს ჩახედა, თვალები ცრემლებით ავესო, შესაბრალებლად შეწუხებული სხნით სთქვა: იქნება ამ ზაწათშიაღ ყოფილიყო მასი დაკარგვის მიზეზის ახსნა, მაგრამ წერილი ნახევარსკედ მეტი წაშლილია.

ამ დროს კარი გაღო და შემოვიდა ერთი ტან-მოწინი-



ლი, თეთრ-წვეკრ მონუცი გლეხი, თაკი დაკვიკრა და ქუდ-მონ-  
დილი გაჩერდა.

— ეს განლაგთ ჩემი ერთგული გოგია, რომელსედაც ესლა  
მოგახსენებდით.

გოგიას ქუდი იღლიაში ამოედო და თითოეულს ჩვენგანს  
ათვალიერებდა.

— იცი, ჩემო გოგია! უოხრა მონუცმა, ჩემი დათა ცოცხალი  
ყოფილა; მისი ხანათი მიიღე.

გოგიამ მონუცის სიტყვებსედა თვალები დასცინა და ჭკით-  
ხა.

— კარგად გამაგებინე, ბატონო, შენი ჭირიშე!

— დათა ცოცხალი ყოფილა: მისი წერილი მივიღე ახლა.

გოგიამ პირი მიიბრუნა და შეხედა ოთახის ერთ კუთ-  
ხეს, სადაც პატაკა თაროზე რამდენიმე დამტვრეული ხატო  
ესვენს, საძვერ პირველი გადიწერა და თქვა. —

— ვმადლობ, დემეტო, შემს მოწყალებას...

შევე მიუბრუნდა ბატონს

— დღევანდელს ჩემს ამბავს მოგახსენებთ: შინ ვიყავი, სა-  
დილი განხედი: სადილის შემდეგ მთელი ჯალბონა ცუცხლს  
გარშემო მოუხსედათ და ვინ რას ლაპარაკობდა დავინ რასა.  
შე უურს გუგლები იმათ ხასს, ჩიბუხს ვწავდი და ვიყავ ჩემ-  
თვის. როგორც მონუცებულს კაცს, ძიღმა თვალები მომტაცა,  
ჩიბუხი ხედიღან გამივარდა, ავდექ და მივწექ ღოგინსედა. მა-  
შინვე მიმძინებოდა. კარგა ხანს მეძინა. ამ დროს თავსედა და-  
მდგომოდა ერთი ბერი; ქაღალდივით თეთრი წვერი სარტყელ-  
სედა სწვდებოდა, უფვაშები ყურებაშდის, — გული ჯვრებით და  
კარსკვლავებით დაივარული ჭქონდა, სამოხედი ბრწყინავდა, —  
და თავსედა დამძახა: ოტიორტა, გიორტა! რა დროს ძიღი გაქ,

შენი ბატონის შვილი — დათა მოსულა და რათ არ ნახამო. მე უეცრად გამეღვიძა და შეშინებული წამოგვარდი საწოლადგან, გული საშინლად მიძგერდა, თბილ ტანო-საცმელს ვიცომდი და თან ვუამბობდი სახლობს, რაც ძალში ვნახე. უბედურმა მისმა ძიძამ ტირილი და მოთქმა მოკრთო; მრთული სახლობა იმას შესცქეროდა და ტირილდა. მე ისინა მტირალი დაესტოვე და წამოვედი აქ. მოვეუღ და მისი წიგნიც დამხკვდა.

ამ ლაპარაკს, რომ მოხუც გოგიას მხიარულუნა თან-და-თან ემატებოდა.

— მისი წერილი ზვილე, ჩემო გოგია! უთხრა მოხუცმა ტირილით, მაგრამ დათას ხასხვას ჩვენ ვერასოდეს ვერ ველაჩსებით.

— რაგორ ვერ ველირსებით? ჰკითხა გატაცებულმა გოგიამ.

— ციმბირში ყოფილას გაკზავნილი საცხოვრებლათ! და ჩვენთან ვინ გამაუშვებს!...

მოცისმინა თუ არა ეს სიტყვები გოგიამ თავის ბატონისაგან, იყრა სულ დაეკარგა, ენა ჩაუვარდა, მუხლებმა თრთოლა დაუწეეს და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდნენ.

ჩვენ შევსცქეროდით ეგეთ უსიამოვნო სცენას... ოთახში ღებუმი იყო.

გოგიამ თავი გააქნა, თვალები მოიქსინდა, ენა ამოიდგა და თავის ბატონს სთხვავა:

— ერთი, დათას წერილი წამაკითხო, ერთი იმისი სიტყვა კიდევ გამაგონო.

მოხუცმა დაიწყო:

მამაო რევაზ!

„ამდენს სანს მე ვიყავი გაკზავნილი კატორღაში სამუშაოდ, ახლა კადა გამოვიდა და ერთს ციმბირის გუბერნიისში ცხოვ-

წების ნება მომცეს. აქედან ვერსად გავალ. მიმიკა ჩემთვის ასეთი უღრმოვად დამაჩნვა, სიტყვების დამბუნება, ავალ-გას-დობის გაფუჭება. უფრო მიმძიმს, რომ თქვენ ჩემთვის განუ-სასღვრელათ იტანჯებით, მაგრამ ყოველსავე ამას მსწავლებინებს ის მსურველე ნუგეში, რომ „მუქათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება, და გზა უვალთ, შტგან თელი-ლი, მერხნო ჩემო, მაინც დარჩება“. მე მძაღლებინებს ეს ნუგეში, გვძნობ, რომ აღვასრულე ჩემი ვალი, როგორც შემძლე, დავსდე თავი საქვეყნო საქმეზე. ამავე ნუგეშს გირჩევთ თქვენ-ცა, რომ თქვენი შვილი არ იყო უკეთური საქმის შემძლე და ვერ გაიარა უკეთურ საყოველთაო გზაზედ... შემატყობინეთ თქვენი ამსავი და გამახარეთ... მომიგიითსეთ ვველა ნაცნობები.

თქვენი დათა

მოხუცმა უკანასკნელი სიტყვები ისეთის შესაზარის-ზმით თქვა, რომ ვველა ჩვენგანს ტანში ურუნტელმან გაგვიარა. მოხუცმა მწუხარის თვალთ ჩვენგან გადმოისედა და მწუხარის ზმითა სთქვა:

— განა ჩემია დათა?... ერთად ერთი შვილი, რომლისა-განაც მოკვლადი, რომ ჩემს უკანასკნელ აღსასრულის დღეს დამიფდებოდა წინ, დამიჭყრდა სელებს და მე, გვძნობა და-მტებანი უკანასკნელის მისის შესედეით, განუტყეებდი სულის. დღეს მე რა დრო მომეღის!... უეჭველია, ისა, რომ ნანკლად ამაებისა, დათას მოგონებით და ვაკრით, ყოველად უკემური სიკვდილი მეღირსოს!...

ორნი მოხუცნი ძრეულ სტიროდნენ და ჩვენ თვალ-ცრემ-ლიანი შეეუჩებდით, რომოდენივე ხნის შემდეგ, დიდის მწუხარ-რებით გოგია იატაკიდგან ადგა და თან ხელის სმით ლაპარაკ-

კობდა: „კაი ჩემს დღეს უბედურს“... გაუჩერდა წინ თავის ბატონს და უთხრა:

— თუ შეიძლება, მათხოვეთ ბატონო, დათას მოწერილი წერილი, რამ უბედური მისი ძაძა დავაწმუნო დათას სიტყვას-ლეში.

— წაიღე, ჩემო გოგია, უთხრა მოხუცმა, მაგრამ კი არ დამიკარგო.

მოხუცმა წერილი შეკვდა და მისცა გოგიას. გოგიამ კამოართვა, უბეში ჩაიდვა, დაგვიშვიდობა და წავიდა. მოხუცმა თავი უკმნობლად ჩაჭკიდა და თვალებიდან ცრემლები შეუწყვეტლად მოსდიოდნენ...

შემადრწუნებელი სურათი იყო უკვალა ჩვენთვის ეს, მაგრამ ნუგეშის ცემა ჩვენ ხელში არც იყო და არც მოხუცი გვთხოვდა. ის მხოლოდ შეჭკითხავდა ბედს თავის უბედურებას მიხედავს და განუსაზღვრელათ იტანუბოდა...

ქაჯია

## ჩაინის გზა.

წინარის ჭრიალით, გულის ტრფილით,  
ყველამ იტოღეთ, მივაღ და მივაღ!...

მე რომ დღეს ვნახე იგი ჩინის გზა,  
— ვნახე მის ქმინვა და ჩსარჩხურო,  
წარმოიდგინეთ, რა მომეაზრა,

შიშით გამისქდა კინალამ გულს:

მე შეუდარე ქართულს ურემსა,  
მშვიდს, დარბაისლურს, წინარათ მავაღსა,  
იმისი ქმინვა — ტუბილსა ჭრიალსა...

გსთქვი: ურმისთანა აჩისად არ ანს რა.

იგი მრისხანე, რომ მავონდებს,  
თითქო ჩაყლაშვას ვისმე დამოდეს...

ერთი მინუტი ჩკენტუის არ დგება,  
სხვისთვის, იქნება, ასიც გაჩერდეს.

მაგრამ ურემი ის დალოცვილი,  
სათაფა გსურს, იქ მიაბრუნებ —

მას უყვარს «კატი», მას აქვს გული —  
მუდამ მზათ არის — ისიამოვნე.

წარმოიდგინეთ: დაკვიქ იმ გზაზედ,  
სრულად დაკვარკე თავისუფლებას:

მიმარბეკინებს ის თვის ნებასეუდ,  
 ხუმი ბინა გი უკანა მჩსება.

ის რადის ჭივიქრობს, რომ მე არა მსურს  
 მისი პირდაპირ ჩქარი სიბილი,  
 მინდა შეგებუნდე მარცხნივ ან მარჯვნივ,  
 სადაც შემხედება მწუანს და ჩრდილი.

გადმოგვიტვიფდენ ის ფრანტუსები  
 და მთლად წაგვართვეს მილიონები,  
 რომ ჩვენ შეგვიპყრან თვისის ნებითა  
 და გვარბენინან, ვითა მონები.

გვრა, სსვა-დროს მე ველარ მატდენენ —  
 ხუმი ურეპი ყველას სჯობია;  
 მაშინით იმას გერ წამართმევენ, —  
 მით მიმეთ წავაღ, მაგრამ გი მივაღ...  
 წინარის ჭრიალით, გულის ტრფიალით,  
 ყველამ იტოდეთ, მივაღ და მივაღ!...

ს. ნასიძე.

## გ ა ნ თ ი ა ლ ი

(რომანი.)

(გაგრძელება)

### X

სიმონ მალე გამოეკრეკა იმ ღამის მოდებულ ბურუსისაგან. ის მთელი თავის ენერგიით მიადგა ამ საუკუნის მნათობების შეცნობების შესწავლას — ის არ ემაყოფილებოდა სხვისგან გაგონილი სიტყვებით — ყველა წაკითხულს უზიარებდა პოლეს. მათ შორის იმართებოდა ყოველ-ღამე ცხარე ბასი — სტოკრებდნენ ესენი საწყლად. სამუშაო აბა რა მოიპოვებოდა იმათთვის თბილისში? რამდენჯერმე პოლე წავიდა თავის სოფელში, სადაც მრთელი სოფლის გლეხები იცნობდნენ მას — ჰატარაობითვე იმათთან შესრდილმა, პოლემ კარგათ იცოდა მათი სულის და გულის ვითარება. სედ-მიწეებით აღსრულებდა მათ წადილს და ხალსშიდაც მადებულად იყო. აკერ, სოფლის თავში გლეხმა ნათლობა გაახადა. მღვდელი, დიაკონი და ხალსი შეგროვილან იქ. სასლთ უფროსი შედის შინ და ხმა მალლა უევირის უმცროსს: — ბიჭო, ჩვენი დიაკონის პოლე სადღაა? იქნება არ დაუძასე?! — ბიჭო, დაუძასეთ — სირცხვილი არ არის უიმისობა — ჩვენი კაცია, მტრისა ხომ არა! შესძასეს ყველა სტუმრებმა.

— წედანვე შეკატუობინე და მგონი, აგერ მოდის კიდეც — მარტყოფლობს თავს უმცროსნი.

პოლე მარტლა შემოდის, ჯდება შუა გლეხებში—აი გას-  
შირდა ყანწის ტრიალი. აქ სუფრული იმართება და აგერ შე-  
მოსძახეს:

— ჭაი, სსსლოო გაძლიეროს, ნიკოლოზ, გაძლიეროს, ჯამ-  
ჭურჭურლო, მეტე თაროო, აი და ჭაააი!!

ნიკოლოზიც ისუკიდებს მეორეს, დაიგუჯუნებს სტუმართა  
ბანიც და გააქვს წანწარნი ბუკნი ჯაების და ათასში ერთხელ  
შსიარულების მნასველ გლეხის ქაღს...

სოფლიდგან პოლე ჩამოიტანდა სოფლე საცალოთი ფქვილს,  
ჯერ-ჯერით ჭსეულდნენ ისა და სიმნო და აცხობდნენ ფურნეში  
პურს. მინამ გამოელეოდათ, საკმაოდ აკმაყოფილებდნენ თავიანთ  
კურსს.

წამთრის სუსხიან დილას, როცა ფუფუნების შეილთ ჯე-  
რეთ კძინათ სოფლე თბილისში, სშირად სიტვივის მიერ ძალა-  
დატანებული სიმნო და პოლე გამაღიოდნენ ერეგნის მოედან-  
ზედ, იკიდებდნენ შეშას ზურგზედ, წადგან მუშის ფული არ  
მოკპოკებოდათ, და მიჭქობდათ შინ.

იმ დროს თბილისში სადამოლობით ხდებოდა სოფლე ახალ-  
გაზდობის კრება რომელიმე ნაცნობთაგანის სადგომში. ამ კრე-  
ბებში სიმნო და პოლე სშირად მოდიოდნენ და სიამოვნებით  
უსმენდნენ წრფელის გულით გამოთქმულ ახალ-გაზდათ ასრებ-  
სა. ბასლობას თითონ ძრეულ ფრთხილად ჭბედადნენ, წადგან  
იტოდნენ წრის ფარასაებერ ერთობა, რომლის მეოხებასაც შეეჭ-  
ლო საშინლად ჯამშუობაც კი დაეწამნა მოწინააღმდეგისათვის.  
წრეში მეოფე მოთავეებთან კი სშირად შედიოდნენ ცხარე მსჯე-  
ლობასში. მოთავეები წრესავით ვიწროთ, რასაკვირველია, არ



ჭსვიდნენ და სიმნა-პოლესთან ბეკრი თანსმობა ჭქონდათ... მარტოც ბეკრი ფიქრები შემუშავდა პოლესა და სიმნოს თავში, ბეკრი მკაცრი წამები ედგა მათ გახურებულ ტერის — ყველა მოიხარბა, ყველა გადახდასდა... მაგრამ ერთ დღეს მათი მოძმენი ძრეულ შეტოტავდნენ. ესენი დაბახანის ქუჩაში განკლიტულ გამოკლიტულ ოთახებში მოჭყენენ — მალე ჩვენი პოლესე იქ მოეძწედა — თუმცა, დემეტმა კი იცის, ანაგითარი დანაშაულობისთვის... მაგრამ დრო იყო ასეთი!...

## XI

ირემივით ცალად დადიოდა ჩვენი სიმნა, სევდით სამსე, თბილისის ქუჩებში. ლუკმა ზურის გამოლეკას ნუ ვიტყვი — ხალისი დაეკარგა ყველასი, რადგან გუფითადი ამხანაგი არ ვინ უჩანდა. ბეკრსა ფიქრობდა იმასე, თუ ვისთვის უნდა გეჟის იმას სამსახური? ან რაში უნდა მოეჭმადებინა თავისი ძალა-ღონე. ხანგრძლივ ფიქრთა შემუშავებამ იმას განუცხოვლა წადილი ხალხში გასვლისა, მისი ავან-ჩაჟანის გაგებანა, მის იარების გამოკვლევისა და აქედგან ცდა იმ მალამოების ძალისა, რომლებითაც ის აღიჭურვა თეორეოტიკულათ. დღითი-დღე ეს მოსახრება მის გონებაში ფართოდებოდა და ამ უკანასკნელმა მიაღწია იქნამდე, რომ იმან ერთ დღეს გაშმაგებულად გადაწვიტა სოფლის მასწავლებლად წასვლა... მაგრამ იმას მასწავლებლობა ისე არ ეუფრებოდა, როგორც უმეტესობას. მისი აზრით ეს უდიდეს ხელობათაგანი იყო, მეტადრე როცა ხალხის გაცნობის და მასთან დანახლავების აზრს სეუდ უმატებდა — მასწავლებელიც უნდა სწეობითაც მტვიტე, დაბალ ხალხისთვისაც თავ-გამოდებუ-

ლი, ტვინის ძალა ხომ საკმაოდ და ჰატიკ-საცემი უნდა ჩქონ-  
 ლდა და ჩქონდა... ამაკბში მან წვრთნა თავისი თავი წინეთაც,  
 მაგრამ თითონ სელონაც უნდა შეესწავლა. იმიტომ დაიწყო კი-  
 თხვა სპენსერის, რუსოსი, ჰესტალფონის, ამონ კომენსკისა,  
 — დიტესს, დისტურკოვს — სულ „ტყავი გააძრო“ მკობრულ  
 სემინარიულები იტყოდნენ სოფლე...

ჩვენისთვის ჰინკველ რიცხვებში ერთ კამკაშა დილის რვა  
 საათზედ სიმნო იჯდა, თქვებთან აკოკლებული ბარგ-ბურხანითი,  
 დროშკაში და მიეშურებოდა რკინის გზის სტანციაზე. ღრმად  
 დაფიქრებული — თავის გატუნით მოახსენებდა ის თბილისის  
 ქუჩებზედ. ამ დროს მის ჯიბეში მოიპოვებოდა მოწმობა მის  
 მტკვრისპირის სასოფლო სკოლის მასწავლებლად დანიშნისა.  
 დაფიქრებული მიჯდა იგი ვაგონის მესამე კლასის კუნტულში  
 და ცოტა ხანს უკან მიჭქროდა ქართლის მშენიერ არე-მა-  
 რეზედ. სიმონს გუნებაში განუწყვეტელი იყრად ძაფივით იტკ-  
 ლებოდნენ წარსული სურათები მისი ცხოვრებისა — ხან მას პო-  
 ლე მოაგონებოდა თავისი ბედ-უბედობით, ხან დაფიქრდებოდა  
 თავის ახლად ნაკისრ თანამდებობაზედ — ხალხთან დაახლოვებ-  
 აზედ, მათი ბედ-უბედობის გასიარებაზედ; მაგრამ ყველა ამეებს  
 გაკვრით ეხებოდა მისი გონება, — მრავალ გვარი მოსასრებაანი  
 მას დიდა ხნის დაფიქრების ნებას არ ამღებდნენ თვითოეულ  
 მათგანზედ. ამ გვარ მდგომარეობაში ისე მოატანა მცხე-  
 თას, რომ თუმცა მტკვრის კარშიყო არე-მარე არ ენა-  
 ხა თავის სიტყვასში, მაინც ფანჯრიდგან არც კი გადისედა.  
 მაგრამ აქ კი სვეტიცხოვლის დაპირდაპირებისგან მო გამოიჩვენა  
 ის ფიქრებიდგან — გულმა უნებურათ გამოუდარა ამ „სავანე  
 გმირთა“ — ცხეთის დანახვაზედ და კამკაშა არაგვის შოფოთთან

მტკვართან შეკვეის მსუკასუ. იმ დროს იქვე ნუნუის მსმელმა გლეხებმა შესძახეს:

„უღმერთმა ქნას, სვეტი ცხოველმა, მცხეთას, აშენდეს ქალაქი იი ბიჭოო!...“

— „შავ ივადეს ოქრო-მსუდელი, ფულის მომსკრელი, ზარათო, სირაჯ-ხანა. გეემათოთ, თავსა ჭპარსავდეს დალაქი“!...

შეუვიდა მკორემ და ამდინარდა ქართული დროება... სიმნო სიამოვნებით უმსერდა მომღერალ გლეხთა განიერ მკერდის ნძკეას და გულში დიდ-ხან გადაწუკუტილს მტვიცედ ემატებოდა: ესრუნა ამათ კეთილ დღეობისთვის, რითაც კი შეეძლო, გადაესდა ოფლით და სისხლით დავალება გლეხთა მკერზე, თუ მის მამა-პაპასუ, თუ თითონ მასსუდ და აქმადგებენა ისინი გონებით, თუ ზნეობით.

— ვაი თუ ამ ვადის გადასდაში მიერუებულ ჯაგას, ჩემიტვირის ძალა და ენერგია სწავლისადმი დავტოვო იქ და შედავრსე ცარიელი შკეყნის პარგი, ჭთიქროსდა სიმნო—განა ბეკრნი მუჟანან ამ საქმეში ხელის მომწოდებელნი, წაქრვის დროს?!...

მწარე იყო ამ უჟანასკნელზე სიმნოს თიქრი, მაგრამ გადაწუკიტა ეცადნა მანც...

სადამოსედ სიმნო იდგა ს. მტკვარისპირის მოედანსუდ, მის პარგს ელამი გზირი ეზიდებოდა „კანცელარიაში“. ბანუბიდგან კაცნი-დედა-კაცნი ცნობის მოყვარულად იცქირებოდნენ და ხამუშ-ხამუშ ზოგი მათგანი იტყოდა: აგე უჩიტედილო, ანსრუსი—ეგლა გვაკლდა—აქ უნდა იცხოვროს და ბიჭებს ასწავლოსო. ზოგი თავის ბაღს ამოწმუეუნებასუდ ემუქრებოდა: „განუმიდი, თორემ აგე უჩიტედი შეგჭამს! ჭა, უჩიტედილო, აი შეჭამე!“, უმატებდა მკორე—ჟველა ცდილობდა, შეეტყო კინა-

ობა ამ «რუსისა». ზი სიმონთან წადგნენ მამასახლისი და სოფლის მოსამართლენი ქუდ-მოხდილნი. სიმონს ძვირე უკვირდა ასეთი თავ-დაბლობა ქართლის მოხელეებისა, როდესაც ქიზიყის, გარე-კასეთის და მის სამშობლო მხრის მოხელეები გამაჩვიებდასაც კი იშვიანათ აღიწესებდნენ ვისმეს. სიმონს ესვეწებოდა ამ მოხელეებს ქუდის დახურვას—მაგრამ ამათ მაინც არა სვეკროდათ რა ამ გვარი უკაცრავობისა ნება დაკთვისა.

გამდვირდა «კანტელაიარაში» ცეცხლი. მოხელეებმაც და მიმსვლელებმაც მალე გუფხაღვართა ღაპარაკიც გამართეს. ჭკითსავდნენ სიმონს იმის მხრის გარემოებას, იქაურ გლეხთ ბედობადას, ცხოვრების ავან-ჩავანს. თავიანთებურს მას უმუღავებდნენ.

ქართლში ჩვეულებათ დასდო წვრილ-ფურსა ჩინოვნიკების-გამო გარანდულმა წყობამ—სოფელში მისკლის უმაღ მოსამისახურე პირს უნდა ძველები მიართვან. გზარის ამ შემთხვევაში ჩამოვლის შემდეგ, მორთინიზებენ უნებურ სტუმართან სონხით და სინებით ძველები. სიმონსთანაც ასრე მოიქცნენ—ასე რომ კანტელაიარის გუნტულში შეგროვალმა ღვინიანმა დოქებმა და ჭანჩა-სინების გრავამ გააგებინა სიმონს ეს გარემოება და შეწუხებულს ათქმევინა სალხისადმი:

— მე ვხედავ, რომ ჩემთვის სოფელს აწუსებთ; არა, ჩემო ძმებო, მე თქვენი შეწუხება მეტათ მაღონებს და თუ კიდევ მიიტანთ რამეს, მაგრამ თოფი დამეცით.

— ვაჰო, უმაწვილო!... ჩვენი ბრძანდებით... არა, შენი ჭიჭიმი, თითო ყანწი ღვინო მაინც დაუღიოთ, ერთმანეთი გავიტნათ—ჩვენ გვესამოვნება შენისთანა კატთან ყოფნა და ღაპარაკი .. ეს ისე გუფთობილათ უთხრეს, რომ სიმონს დაჭყვანებას. —

აი ჩამწკრივდნენ სიმნო, მოხელეები და მოძღვრეები მრავალ-ოვერ სუფრასედ — გაიძარტა სმა. მას მოჭყვა ქართული სიმღერაც, და სიმნოს ისე მოუღბა გული, თუ მშვენიერის სიმღერით, თუ მასპინძელთა გულ-ხაფვათობით, რომ თათონაც კასური სუფრული შემოსძახა:

«ქართლი იმისთვის დავაგდე, თოვლს დასდეშ, ალან აიღეშ, რაც რამ მოსავალი მოვა, სულ მთლად ბატონი წააღებშ».

მაღლა ადიოდა სიმღერის ხმა — ერთი ქართული მის-ჩანსალებდა მას ამ კასურ სუფრულში და, თუმცა ბეჭვან სიმნოს ვერ მოჭყვანდა სიმღერა ჭანგში, მაგრამ მაინც გლეხები აღტაცებაში მოიყვანა...

მალე გაიგო სიმნომ ქართლელების ბედ-უბედობა. რწმუნდებოდა იმ აზრის სიმართლეში, რომ სადაც ჩვენ ძლევა-მოსილ შეთვის და თავად-აზნაურების ბედნიერი თვალი სძირად ვერ ჭსვდებოდა, იქ უფრო კარგათ ეცხოვრებოდათ გლეხებს; სინამ იქ, სადაც მათი თვალი დაუღალავად ზრუნავდა „მამულის ბედნიერებაზე“.

ამის მოწამედ სიმნოს თვალ წინ ედგნენ ერთის მხრით ქიზიყი და გარე-კახეთი — თავისი მხარული-მხარული ლექსებით, ამყობით, ყველაფერში თავის გატანით და ღიხსებას დაცვით, და მეორეს მხრით ეს ქართლი, რომელიც დღევანდლამდე საბატონოა, სადაც სიმღერებიც მწარე და სევდიანია, „ბატონის სისხლს და გლეხის სისხლს“ ესლაც აჩვენებენ და ხალხიც ჩაკვრისაგან ღაბა ხაჩივით დაჭკვიანებულა...

ათასიც რომ ემტკიცებინათ ოთახებში, ვითომც «ისტორიული საბუთებით» ზოგ ვაჟ-ბატონებს, რომ ძაძა-შვილური განწყობილება სუფევდა უწინ ბატონ-ყმას შუალ, რომ კანტანგის კანონი თუმცა გამოიცა, მაგრამ ძალაში არ შესულაო, და სხვა

ამ გვარში იყენ-მოკლე ასრები, რომლებს უკან წაღაც არსა-სურველი მოიხრებოდა სოფელში. მანინ კერა დაჯერებდა რა ამას, წადგან სალხთა ცხოვრების ღლეკა დღითი-დღე წინააღმდეგს ჩასწინებდა —

სიმნო ცხადათა სედავდა, რომ თავად ასწავრობა არ აყუ-ნებდა ამ სოფელს ერთ დღსე, არ უწმინდა ამით წყალს თავიანთი გესლიანი ენით და ქტევით — ხინოკნივი მოვიდოდა ვინმე და ესენი გამოდიოდნენ გლეხთ მახეზღარნი; გლეხები და-აწუბდნენ რაიმე საკეთილთა საქმეს, ესენი უფუშავდნენ... საქტიუ-ლით სომ უარბაროსეს აჭარბებდნენ: მახეზღარებდნენ მოჭკლავდ-ნენ სოფელში თავიანთი მამულში გადმოსულ გლეხის საქონელს, ხანჯალ-გაძრობილი, მათრახით ზელში, აბდავებდნენ სალამის არ მიმტვი გლეხს, იმონავებდნენ ყველაფერში მათ — ათრეგდნენ სა-მართალში და აშხამებდნენ ისეც საცოდავ სიტყვებს... ყვე-ლასე სასინღარი ის იყო, რომ ისენი ჯამუშობდნენ გლეხებ-სედ ჩინოვნიკებსან. —

## XII

დიდ-ძალი შავრდობა მოვიდა სიმნოსთან სკოლასში. ესე-ნი იყენენ უფრო ჭანუკნი ცამეტის წლიდგან დაწუბადნი, გლეხთა შვილები. სასიამოვნო იყო ამითთან საქმიანობა სიმ-ნოს მოძურებას სწავლის დროს მიიზიდა ყურადღება მთელი სოფლისა, იმიტომ სკოლის თანჯარა კარები კაცთ დედა-კაცთა ჯგუფებით იყო ხოლმე დაბნელებული. უმაწვილებიც მო-სვენებას არ აძლევენ მას, ისე დილა ადრეან მოდიოდნენ სკო-ლასში. არც დიდების მიმზიდველობის ძალა აკლდა სიმნოს. —

ეველა საქმეში დასაკითხად, ახართის გასაჯღაბხად წამ-და-უწუმ მიდიოდნენ მასთან გლეხები. ცოტა ხანს უკან მას ეველა გლეხი „ჩვენ სიმნოს“ ეძახდა. 'საშინლად ეწეიხებოდა გლეხს, თუ დღეობაში სიმნოს არ ეწვეოდა; იმიტომ ხუნუას დმკრთს, ბახუსს, არ აწყენინებდა ხოლმე სიმნოს. —

დადგა ზამთარი, ეს «ბოსტობა» (გომია) ქართლში, რომცა გლეხები სულ ბოსელში არიან შემწყვადეულნი უსაქმობისგამო. აი ამ დროს, შუა დღის უკან გამართა საშინომ დიდების სკოლა. მხარ-ბეჭიანი ბიჭები, პატარაების დათხოვნის უმალვე, სადილის ჭამასაც კი არ აცლიდნენ სიმნოს და შედიოდნენ მის სასლში, ზოგს ტერმომეტრი ეჭირა, ზოგს გლობუსი, ზოგს სასწორი, ზოგს საყენი და უსხნიდნენ ერთმანეთს სიმნოს გამოსვლამდის.

— გაკათავუ სადილი, აბა ანლა ვისაქმობთ, გაცებო! დაუძახებდა სიმნოს და რომოცამდი ახალ-გაზდა დასხდებოდნენ სტოლზედ და სიმნოს გამართავდა მათში ღაპარაკს სხვა-და-სხვა საგნებზედ.

დღითი-დღე იზრდებოდა სიმნოს მნაშენელობა სოიულში — ეველა საქმეში მას ევითხებოდნენ გლეხნი — აი ავით მეოფის განსაკურნათაც მასთან დაიწყეს მსკლელობა ხალხმა, რადგან ქინა-ქინა, სასაქმებელი ზეთი, კაპლები და სხვა უძრავლო წამლები მოეპოვებოდა.

ავერ მოვიდა სიმნოსთან დედა კაცი შახვეულის ხელით.

— რა გნებავს, დედი? ჭკითხა სიმნომ.

— შეილო, სიმნოს, შენს მზეს, მიშველე რამე — ლამის გაგვიყუდე, ხელი ისე მაწყესებს... ლამის მომყარდეს და ქვეყნის შესანახად დავჩნე.

— აბა, გაიხსენ, ვნახოს.

დედა-კაცმა ხელი გაიხსნა და ამ დროს ხელზე დაეცა ბა-  
ყაყი.

— ეგ რა არის? ჭკითხა სიმნამ გაოცებით.

— მასწავლეს, შვილო, განგებს ცოცხალი ბაყაყი. მ-  
რთლად ძრეულ შეწოდა — რომ დავიდე, ცოტათი მიშადყათა —  
მერე კი შენ მტყვს, რომ მე ტყვს დამიწყო — ლამის გაკვირდე  
— მიშედე რამე, ღვთის გულისათვის.

ჭკედამს სიმნა, რომ დედა-კაცს თბილ წამლებს დაბისვან  
სელი საშინლად გაჭსიებია, განგრენათ გადაქცევასაც ლამობს —  
იცის თათრანაც, რომ ბევრი არ იცის, და შეკლავს საუთუთა  
მისვან. მაგრამ მაინც აძლევს სავრძობელ წამლებს: ხაშს, მთ-  
სეკლილს ძმარში და ტყვიის წყალში, უჩრევს გრილად შე-  
ნახვას.

მასწავრიკელა, სიმნამ დარწმუნებით იცოდა, რომ სა-  
ექიმო წიგნების კითხვით ექიმი კერ განდებოდა. მაგრამ მაინც  
ცდილობდა ცოტადენი რამ შექმინა მათგან და ავათ-მყოფ-  
სადხისთვის ცოტათი მაინც ნუგეში მიეცა. საბრალე ხალხში  
შორს გაკარდა სიმნას ჯანაოზ ექიმობის ხმა — ავათყოფის  
ჭირისუიალი შორიდგან და ახლოდგან მოსვენებას არ აძლევდა  
სიმნას. ან გაუხდათ სოფელში ავათ ვატარა ბიჭი, მობობან-  
სიმნასთან; ესეც მიდის დასახედათ, თუმცა გულში სამწუხარ-  
როდ ჭკმნობს, რომ ცოტას მტოდნეა. საშინელს სურათს  
ჭკედავს სიმნა: გატყველებული ყმაწვილისთვის შალში თვლები  
შეუხვევიათ, ტანზე დიდი საბანი დაუსურამთ, თავზედ ხელსა-  
ხოტი შემოუჭამთ, ასე რომ უბრალე სიცხე ყმაწვილს — საში-  
ნელ ლულად გარდაქცევა და მომაკვდავივით ჭნუჭავს თვლებს,  
ენაც ჩაჭყარდნია; გარს დედა-კაცები შემოსსდომიან, საშინლად  
ღრიალებენ და მომაკვდავთ მიჩნიათ. სიმნა მოსსნის ყველა-



იერს და ძმარ-წყლით შუბლსა და გულს ურეულს; საშინელი-  
კორიანტელი აჭვარდებს ემაწვილს და თვალებსაც აასილებს —  
სიმნო უხშირებს ძმარწყლით ციფკომპრესებს, ასწავლის ამ გვარ  
ავათ მეოფის მოვლას დედაკაცებს — და მიდის შინ სსკა წამ-  
ლის გამოსავსავანათ...

ასევე იხსენებს სიმნოს დანაგრული ხალხიც. „ბატონო,  
სიმნო, მიშედე, მომეღეს ციფიოთა,“ ამასედ გულ-მოსული  
სიმნო გაკარდებოდა ხალხე ჩაჟრებთან. საშინლადაც იყვნენ ჩა-  
ფარნი ოსები დაჭარებულნი ქანთღში; მერე თუ დაითრბოდადენს,  
ხანჯლით იწეოდნენ ხალხე ყველა გლეხებზედ, და სოფელში სა-  
შარელი, აღიაქოთი ასტყუებოდა ხალხე. ანც ჩინოვნიკობა-  
იწლიდა გლეხთან ამ გვარ მოკეთებებს — ამ გვარ უსამართლ-  
ბებით მოთმინებდვან გამოსული, სიმნო სშირად წაქემაგებო-  
და ხალხე გლეხებს. ამასედ ეს წერილი ზოლიციელები  
აბეზლებდნენ ხალხე სიმნოს მასრის მმართველთან, და ესც  
საშინელის სიბრახით უმისერდა სიმნოს მოქმედებას სოფელში.

თუ საწყალ გლეხს ვინმე დასხარავდა სასამართლოში,  
მაშინაც სიმნოს დახმარებას ითხოვდა იგი. სიმნო ვერ  
არსებით და გარედვან შველოდა, და თუ საქმე გასჭარდებოდა,  
ვექიფობას თითონ იგისრებდა ხალხე. ამიტომაც „ადუკანტობას,  
და სრინის კანონების შესწავლასაც შეუდგა ის. მაგრამ თან-  
და თან წწმუნდება სიმნო, რომ საშინელი სიღრმისა და სი-  
ფართოსა იყო გლეხის გაჭიკრება — მას ყველა სხარავდა, სა-  
მართალი გლეხისთვის ანსად იყო, ყოველივე ბადე და მასეებ-  
მათ გასაბმელათ იყვნენ დაგებულები ყველგან. ხიხლიბაშური  
ექიმობა, „სუდებნი უსტავისა და მეთე ტომის შესწავლა ხალხის  
ტანჯვას ვერ შეამცირებდნენ, რასაკვირველია; მაგრამ იმაში

იყო დაწმუნებული, რომ განკითხება ამ გვარ საქმეებში, ცო-  
ტათი შინაგ მოსწმენდას ხალხს ტანჯვის ცრემლს.

თავ გამოდებით იბრძოდა სიმნო ხალხისათვის, მაგრამ  
ურველივე ქსედავდა, რომ იმის გამოჯავრებული თავაწინ უყ-  
რო მეტად სტემდენ ხალხს თავად-ანსაურობა და მოხელენი, აწუ-  
ხებდენ მომეტებული ღალით, სტემდენ ჩათვები, უსაუროდ ამტ-  
უუნებდა და ტყვილ უზრალთ სტანჯავდა მათ მომხიკებელი  
მოსამართლე, სტუქსავდა და სტუეზდა ან თვით მანკის უფრო-  
სი, ან თანა-შემწენი და სოგვიერ დაცანვით სიმნოსედაც იტ-  
ვოდენ სოლმე: „აბა, დიოვაროს ხალხას პატრონმია... ამი-  
თი არ კმაყოფილდებოდენ ესენი, პირს უკან სიმნოს რამოს  
უთხრიდენ და თინს უპირობდენ. მანხაში უველა სიმნოსე  
ათითებდა, როგორც რაღაც საფრთხესე და ხალხის მომხრესე.  
ხალხს და სოგიერთა თავად-ანსაურს ვი ძვიელ უუვარდათ  
სიმნო.

სიმნო განუწევრელივ შრომობდა. საკუთრივ სკოლის საქ-  
მეს ვი სამიკვლიანათ მოჰქიდა სელი. გასათხულის დამდეგამ-  
დის სოგი კერძო პირებს შეაწირვინა, სოგი წარმოდგენებიდ-  
გან აკრეფინა და ერთი რე-მოცი-ოდე თუმანს შოუარა თავი  
თავს. მეტე შეჭყარა მტკვრის პირელები და მოჭყვა მათთან სჯას  
სკოლის შენობის გაკეთებაზედ:

— ეს სახლი იქნება უველანზედ დიდი საგანძო სოფლისთვის,  
აქ თქვენ შვილებს ივეს-შიშველა გამოგზავნით, ან ვინ დასძ-  
რანავს, რადგან თავას მამა-შაპის სახლში მოვლენ ისინი — აქ  
ისინი შეიტყობენ იმას, თუ როგორ უნდა მოუარონ თავიანთ სა-  
ცოდავ ცხოვრებას დიდობაში, თქვენთვისაც გულ-სალგათი სახლი  
იქნება ის. იქ თამამათ იმუსაიფებთ თქვენ ტკივილებზედ და საჭი-  
როებებზედ. — იქ დაწყობთ თუ საქეყნოს, თუ საშვილის შვილას

თადარიგებს... ვეცადეთ მას, ძმებო, ასეთი ძვირფასი თავ-შე-  
სათვარი დაუდგათ თქვენ თავსაც და თქვენ შეაღებინათ, — და ავ  
კაცსე მომეტებული ეთქოს იმას, გინც ამ სიკეთეს უმეტეუ-  
ნოს! .. აი, მე რამეცა თუმანი გიშოვოთ, თქვენ მარტო მასა-  
დის მოსიფას დაგჭირდეთ, დაათავა სიმნომ.

— კაცო არ იყო, ქუდი არ ეხუროს, გინც ამ საქმესედ  
უარი სთქვას — დაიძას ხალხმა.

დიდი შრამა მოუნდათ, რაგორც გლეხებს, იხუ სიმნოს,  
მაგრამ ენკენისთვის გასვლამდე, შიგ შუა სოფელში დაიდგა  
მშენაერი სკოლა, გარს აფინრულის გადახვით, ალასათის კარე-  
ბით — ახლავე იშოვა სიმნომ ორი ღლის საბაღე მიწა — ეზო-  
შიაღ ხეხილები ჩარგო და მომავალში მშენიერ შეუდრო სასოფ-  
ლო სკოლათ უნდა გადაექცია ესა...

თუმცა ყოველ კვარ უკიდურების ასაწევ აზარმატად არ მიანდა,  
მაგრამ მანც ჭიჭირობდა ბანკის, შემნახველ-გამსესხებელი ამხა-  
ნაგობის დაარსებას — ეს უფრო ხალხს ერთმანეთს გააფინობდა,  
საზოგადო ინტერესს გაუქინდათ და მათთვის ასალი დროის  
საბჭო შეიქნებოდა, სიმნოს ჭარბათ... მხოლო შემდეგში მო-  
მმარებელ საზოგადოების მოგვარებას მანც აზირობდა. — საკვი-  
რათა და სკოლის ფართო დანიშნულებას კი სიმნო შეუდგა გი-  
დუც; მაგრამ მისი შრომა და გლეხების მიერ მისი სიყვარული  
ბევრ მტერს უხელებდა ..

XIII

ბევრი მშენიერი და ბედნიერი ბუნების საიდუმლოების  
მოწამე იყო ხალხე სიმნო, ხშირად შრომით და ფიქრებით

დაქანტული მთვარისან ღამეში მტკვრის პირას სათევზაოთ წავი-  
დოდა ხოლმე, ესროდა ბადეს და ინახდისებდა გულს. აი, ერთ-  
ხელ დაიღალა სროლით, გამოჰყვა პარკში დაჭერილი თევზი-  
და გაეშურა კარგა შორს მინდორზე ასთებულ ციცვასკენ.  
მიუხედავად და დანახა, რომ ციცვას შემოსხდომოდნენ ოთხი  
მტკვრისპირელი გლეხის ბიჭები და ამითი ერთი მის შავირდ-  
თავანიც ერთი — იჭკე, შვიდ-შვიდი წლის ორ შატაკა ბაგშეებს  
თავალები დაეჭვიტინათ და დიდების ღაზარკას ეურს უკლებდ-  
ნენ, ამით გვერდზე ვი მცოხნაკი საქონელის ქშენა გამო-  
ისმოდა.

— აი, აგერ ჭყანტობებსში, ბიჭო — ამბობდა ერთა—ბერძი  
წყეულები არიან. თანაც გაიშვირა ხელი მტკვრის პირისაკენ,  
მხალღად სხვესმა. „წყეულის“ ხსენებაზედ პირფვარი დაიწერეს;  
ბავშვების ღოუებს ვი ცოტათი აღშული აუკარდათ.

— მართალს ამბობ, მართალს — დაუჭრა გვერი შეოტკმ და  
დაიწყო შემდეგი მოთხრობა:

— აი, ძმაო, მე ტყუილს არ გიტყვი — ხვესებიანთ სოფლს  
ხომ იცნობ? — ის შარშას ქორწილიდგან მოდიოდა და მანდ რომ  
გამოეჭრა, ვიღაცას უგანდგან დაემხს — „სოლო, მოიცაო!“ —  
ის უღელიც დამდგარიყო და ზევითურელი ექვთიმე ვი მოსწყო-  
და — ჩვევად სოლოსთვის სავინძაში ხელი და შეემხსა: აბა, შე  
სოლოდავ, ვიანა ცხოვლობას რომ გამიხსე, ესლაც განსარჯეო-  
სოლო ვერ ჭხვეწსებოდა, რომ თავი დამანებეო და, რა ვი აღარ  
მოჭმეებოდა, იმასაც გეკმარტფებინა. გათენებაშდის ბულებივით  
ემუსლთაგებინათ ერთმანეთი, მაგრამ გალახვით ვი ვერც ერთს  
ვერ გველახათ, ბოლოს დაქანტულ სოლოს წამოემხსა — „დაცვევ-  
ლოს წმინდა გიორგმ, რა თუხვები გაიდგო“ ამ სიტყვების  
თქმა და ვი წყეულის ხარხარით გაქცევა ერთი იყო — სოლო

მუხლებ დასისხლებული დაბლგაქრძილი, შუშინებული და ჯან-  
დაწვევითი დაბრუნდა შინ გათენებისას

— დასწვევლას სამ-ოც-და-სამმა წმინდა გიორგიმ, დასწვევ-  
ლას! დაიძახეს ყველამ, პატარები კი უფრო ძრეულ გაეხვივნენ  
ტომრებსი და ეტეობოდათ სახესედა საშინელი შაში.

სიმონს შუგორდმა ცოტა ეჭვი შეიტანა, მაგრამ ეველე-  
ზედ უფროსმა მათში იკითხა:

— მას კაკალამ რომ ნახა ავი სული, ისიც ტყუილი იქნე-  
ბა?!

— თქვი, გაბრე თქვი, კაკალამ როგორ ნახა — შატყვირეს  
ლომს დანარჩენსა ბიჭებმა პატარებმა კი თქალები დაატყვიტეს,  
ყურები დაატყვიტეს და მოემზადნენ საუბრის მოსასმენათ, და  
ეს უგანასკნელი თუმცა მათ აშინებდათ, მაინც ცნობის მოყვა-  
რეობა ნებას არ აქლევდათ, რომ ყუნი არ ეგდოთ.

— როგორ, ბიჭო და, ბანაბიანთ კაკალა ძრეინ ადრე ამდ-  
გნეიყო და მინდორში გუთანზე წასულიყო — რომ შიატანა, სა-  
ცა და მის მერეს ხარი ეყინა, და დანახა, რომ ნახნაუში ერთი  
თეთრი თხა წიკს და იცოხნება. გაუნარდა კაკალას, მიჭვარდა,  
ასწია და თხა ვისერზე შეისო. შიაქვს, მაგრამ ისე მძიმე რა-  
ტელ არ არის, რომ ვისერი ღამის მოსწვევითოს კაკალა მაინც  
თავს არ ანებებს. გაიარა კარგა მანძილი და თხამ კი ჩამო-  
გნძელა გუდა, ჩამოიზარდა და ადგილზე კი დაიწყო ამ გუდ-  
მა თრევა. აქ კი შუშინდა კაკალა, გადაადლო ძირს თხა გა-  
ცებულმა, თხამ კი კვირით დაყოლა: „გიგვირს ჩემი გუდი, კა-  
კალავ, გიკვირს?!“ კაკალა შინ ჭკუასზე შერეული მოვიდა, შერე-  
ხომ თქვენც იცით, რომ ჩვენი სიმონ ღვლედი ხადადღს უფ-  
თხამდა უოკელ დღე და ისე მრანჩინა შაშიშობას.

— დალახვროს სამ-ოც-და-სამმა წმინდა გიორგიმ, წამოიძახეს

ბიჭებმა და გადიწიერეს პირ-გვარნი; მაგრამ ამ დროს მწოლარე ბაშკებს თავისუფლად წაღასაც გადაჰქარა ფრთების სავსავით და საზარელის სმითი შეჭმავდა — ეკელანი შეერთენ, ვატარა ბაშკებმა კი შეჭმარიალენ:

— ჭია, თქვე სულგლებო, ეს ხამ ბუ იყო, რისა შეგეშინდათ-გატყუებთ განრო, განუ ქვეყანაზედ ექმავი არის?! ანუ გემა ვატარები სკოლემა.

სიმნო მიუხილვდა ვატარა მწყემსებს...

ხეკაკს შეუობდა ვოლტერი, მეორე ნახევარში რუსსო. აზრის ბუჯადები ესენი იყვნენ, შეთევამეტე საუკუნის კრიტიკული ანალიზი ამათ შორის გაიყო. შვითსკლმა კი არ იფიქროს — ვითომც მარტო ვოლტერი და რუსსო მაქმედებდნენ. არა, იმათ უკან თუ გვერდით მისდევდა შთელი ლაშქარი და ამ ლაშქარს კიდევ წინ მიუძღვოდა შრომა კრიტიკული ანალიზისა. თითქმის თვე არ გავიღოდა ისე, რომ ახალი თხზულება არ გამოსულიყო. თხზულება, რომელიც ეკლესიას და პოლიტიურ სახელმწიფოს აქვთ-იქით აქანებდა და სიკვდილს უმზადებდა. ვოლტერს წილათ ერგო ეკლესია, რუსსოს — პოლიტიურა სახელმწიფო. დრმათ დაარსდა ის აზრი, რომ „ხალხი“ და მხოლოდ ხალხი არის ძალა სახელმწიფოსი. ვოლტერმა ბოლო მოუღო სასულიერო წოდებას და მამასადლე იმ აზრს ემსახურა, რომ სახალხო განათლება ეკლესიის ხელში არ უნდა იყოს. იმან შეძურსა სასულიერო წოდებრივი პრინციპი სახალხო სკოლისა. ძნელათ შეიძლება მოიპოვებოდეს დირსებით შეჩვეული კაცი იმ საქმისთვის, რომელსაც ვოლტერი ემსახურებოდა, როგორც ვოლტერი იყო. ეს მრავალ გვარ ნიჭიანი კაცი ფილოსოფოსიც იყო, ტექნიკიც..... რა გინდა რომ ის არ იყო. იქნება ბევრმა პრადოქსათ მიიღოს ჩვენი აზრი, მაგრამ ჩვენ მანც იმას ვიტყვი, რომ, ვერაშას რომ ეს კაცი არ გასჩენოდა, იქნება ესლაც სახალხო განათლება ეკლესიას და სასულიერო წოდებას სჭეროდა ხელში... შვითხველი, რომელსაც გაუზუპირების ის ფორმულა, დოღმატი, რომ ისტორიული პროგრესის კანონი აქვთ იქით არ უხვევს, ფატალისტიკურათ ერთს ბილიკას ადგია, — არ დამეთანხმება და სიცილს დაიწყებს... რაც უნდა იყოს, ვოლტერმა მოუღო ბოლო ეკლესიურ წოდებრიულ მიმართულებას სახალხო სკოლაში. აი როდის დაარსდა

საერთო მიმართულება, საერთო ზნეობა სკოლაში, რომლის გულის-  
სათვისაც ესაა საფრანგეთში გასაღწარი თავის-მტკრევა არის...  
რაც ლიტურგია ვერ შეასრულა, ის ვოლტერმა გააკეთა.

რუსეთს ასწავლებს სულ სხვა იყო. განათლების სიყაღბე,  
სასკოლო წესების ეთიკური უღელის — აი ის რას ებრძოდა. პო-  
ლიტიკურ კომპრომის საყაღბა მთელი თავისუფლება, ხალხი და სა-  
სკოლო წესები ერთს და იგივეს ნიშნავდნენ. საჭირო იყო ამ კე-  
მანის დამხობა. ეს საქმე რუსეთში მშენებრათ იკისრა. რუს-  
ეთს „ემილი“ სწავლებს რომ ყუბაჩა იყო. ხალხი, ხალხისობა,  
დემოკრატია — აი რუსეთს იძულები. ამას თანსულება რომესპი-  
ეკს სტოლცხედ ელა და იმაზედ აშენებდა კონსტიტუციას.....

ნიკო ტიზანოვი.

(გაგრძელება იქნება)

\* \* \*

შეა ღამის ღროსა მარტო მინდორზედ  
დადონებულნი ნელ-ნელა კლიდი;  
ხმა არ შესმოდა არსაიდგანა,  
და მეც მდუმარეთ ვიყუბ, ტრემლს ვღვრდი.

ჩემსა გონებას და მწუნარებას  
გატყობინებდი მაგლა ზეტასა,  
რომ იქიდგანა რამე სიკეთე  
აწ მოკვლინა ამ ქვეყანასა

ამ ღროს უეტრად ტას შეკატქერდი,  
მოკაშკაშენი ვარვსკლავნი ვნასე;  
იმ ვარსკლავთ შორის ერთს დაგაკვირდი  
მასშია ვპოვე ერთ ქვეყნის სასე:

იყო პატარა, ტანათ მოწილი,  
მაგრამ ვი ღრუბლებს არ იკარებდა;  
იგი სინათლით თითქო სხვეებს სჯობდა:  
სულ გაშკაშებდა, ჰირ-მცინარებდა.

მაგრამ სსკა ვარსკვლავთ შური ჩაიგდეს:  
 ვარს შემოერთენ, ძმანი მტრულათა,  
 ვინ მცინარება და სიკაშკაშე  
 შესცვლევინეს მწუხარებათა...

მაშინ დაკვარდი დედამიწასედ,  
 მუხლ-მოღრეკილი დავიწყე ლოცვა:  
 ღმერთო! იხსენი შენ ის ვარსკვლავი,  
 რომელსაც სსკები ვარს შემოერთყა“.

ავდემ, კვლავ სეტას ავგაზუარ თვალთ  
 ნაცნობ ვარსკვლავის სამეხნელათა;  
 ვპოვე, ძლივს ვიციან — შესცვლელდა ფერი,  
 არ კაშკაშებდა წინანდელათა.

ნესტ. უბ — შვილი.

1881 წ. ოკტომბრის 16.



## შეპყრობილი ფრინველი.

(ნათარგმნი ალჟირულიდან).

ფრთა გაშლილი დაეფრინგდა თავისუფლათა  
და ვუმღერდა ჩემს ბარტყებსა მხიარულათა,  
მაგრამ ბედმან, შავმან ბედმან, ხედავ, რა მაყო!  
თავისუფლება წამართვა, ბოლო მომიღო.

\* \* \*

გაღიაში მოუსვენარს ვარ სიცოცხლეში:  
ჩემი ბარტყნი ჩემთა მტერთა უპერიათ ხელში;  
ჯოჯოხეთის აღში ვიწვია და ვიტანჯები...  
ღმერთო! მოწყალეთ, შემწყთ რასღა იქნები?

\* \* \*

მტარვალებმა ფრთა დამაჭრეს, ფეხნი მომკვეთეს.  
და ენასაც ამომგლეჯნ მე ან ხვალ, ან დღეს.  
მაგრამა მე მანუგეშებს იმედი ერთი,  
რომ შეისმენს ჩემს ვედრებას მოწყალე ღმერთი.

\* \* \*

მე მსურს: ვფრინდე და დაემღერდე მხიარულათა,  
თანაც ვზრდიდე ჩემს ბარტყებსა თავისუფლათა,  
რომ მე ბედმან, შავმან ბედმან მასე არ მიგოს  
და მტარვალმა ჩემა ენა არ ამომგლიჯოს.

ფ. 6.

## ახალგაზღვრ მოხუცებულობაზედ.

(უ. ხუდადოვის უკანასკნელი სტატიის შესახებ)

სიბერე მახლავს, დავლიე სიყმაწვილისა დღენია.  
რუსთაველი.

### I

სასაცილო სანახავია ქართული ლიტერატურული კრიტიკა-  
გერ იქნა და გერ მოიკიდა იმან ჩვენ შუკრლობაში ფეხი. ან  
საიდგან მოიკიდედა, რომ იმ საცოდავს, თავის ახლუნებასთან,  
თავის ფახთან, ჩხარის სიწლო ფეხები გამოუბაკს და, რამდენ  
ნახტომსაცა იქმს, იმდენი ჩაკეცეცება ფეხები და უირამადა გადა-  
იმარტლებს სოღმე.

დაემდის ქართული კრიტიკა მაგრას ჩამჯდარას ერთი ბეწო.  
გაღისაგით ფორმედაში და ხმრეკას არსათა აქეს. გარეშე ძალა  
იმაზედ არ მოქმედობს და საკუთარი ძალა კიდევ ისეთი კმა-  
ყოფილას თავისი შეუმურვებელი ბედით, რომ სრულიად არა  
სთვლის საჭიროდ — ვატარა გაიწიოს სიგმე-სიგანეზე, ცო-  
ტა რამ სათვალავი გაიკეთოს.

გამოვიდა რომელიმე წიგნი. კრიტიკა ფლეგმატიკურათ ატ-  
ხადებს საჭეუწნოთ: „დაიბეჭდა და ისუიდება ესა-და-ეს წიგნი, ამა-

და-ამ გამოჩენილი ავტორისა. ამ დღეებში ჩვენ ვრცლათ გვეჩვენა დადი მსჯელობა მასზე და "ასეთი წინასიტყვაობიდან შეითხველი მაშენვე იგულისხმებს, რომ ალბათ კრიტიკას მოსწონებია თხზულებათ, და აჩა საკლები ფლეგმით ელოდება მის აზრს". აგრე გაკიდა ორი სავი თვე, ხან ერთი წელიწადიც (ხან ორი და სამიც!) და გრამიკამ ამოიღო თავისი ძალუმი ხმა, თავისი „საკუთარი აზრი“, რომელიც შესდგება ჩვეულებრივი წყობილებით: „მას წინათ ჩვენ დაუპირდით შეითხველს დაწერილებით მოგველაპარაკება ამა-და-ამ შესანიშნავ ნაწერსად. დღეს ვხედავთ, რომ წიგნმა მოახდინა თავისი შთაბეჭდილება მრავალ შეითხველესად, და საჭიროთ მიგვჩინია ჩვენი აზრი განუზიაროთ მათ ამის შესახებ. მით მომეტებულათ არ შეიძლება სინუმე და ხმის ამოუღებლობა, რომ ჩვენ დაუპირდით მასზედ მოლაპარაკება. და რადგანაც პირობა გაცს ცოლს წაართმევს, იტყვის სოცმე ჩვენი ბრძნული ქართული ანდაზა, — გარდა ამისა, რადგანაც ჩვენ, ესეთი შიშიც რომ არ იყოს, ღეთიურ მივალეობათ მიგვჩინია სიტყვის ასრულება; ამის ძალით ჩვენ უთუოდ უნდა გამოვსთქვათ ჩვენი აზრი, ან, გაიგონეთ და ჩამისსოკოეთ გარკათ, და გადაევატ დაგიმტკიცებთ, რომ ჩვენ აზრსად არას ოდეს უარს არ ვიზამთ და, ჩვეულებისამებრ მტკიცეთ ვადგებით მას. აბა. მამ ისმინეთ:

„ჩვენ საქვეუროთ ვადვიარებთ, რომ ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა გი ფქვასო, და ეს თხზულება ძალიან კარგია, უწარჩინებულესია. ის არის თავი და ბოლო ჩვენი მწერლობისა. ხალხი, რომელსაც ასეთი ძალუმი მწერალი გამოკრდება, არის ძლიერი და ჰქონია მომავალი. მსურვალე სურვილით ვინატრებთ მის გაუჩერებელ მოგზაურობას ქართველებში. რომელი ქართველიც იქამდის გადაპირული იქნება, იქამდის სინი-

დის დაკარგული და დამახინჯებული, რომ ამ წიგნსუდ ცუდს რასმეს იტყვის, და ესა არ დაუდუნდება მაშინათვე სკვარდმო განგებით, იმ სამარცხვინო ქართველსუდ ჩვენ თამამათ შეგვიძლიან ქვეყნას თითით ვუჩვენათ და ვაღვიარათ იგი მამულის მოღალატეთ. მეტი, რასაკვირველია, თუ კიდევ არ გატყდა და არ გამოსთქვა ბეჭედში, რომ ესა-და-ეს წიგნი მართლად კარგიაო, მაშინ ჩვენ სრული ნება გვაქვს ვაუჩინოთ გორკესზონდენციები ამ მამულის მოღალატესუდ «Голосъ» — «Новое Время» — «Московскія Вѣдомости» — «Русь» — «Русскій Курьеръ» — «Минута» — «Кіевлянинъ»-ი და კიდევ სხვებში, რომ ჩვენ საზოგადოებას, მას პატრიოსტებსა და „საქმესუდ თავ დადებულობას“ ამწარებს ასეთი საზიზღარი გვაძი, როგორცა გღია ამ წიგნის დამწუნებელი პირი.“

„ეს არის ჩვენი ბეჯითი აზრი, და ვაი იმის ტყავს. ვინც ჩვენ არ დაგვრანხმდება! მწარე დღეს დაგვარებთ ჩვენ იმას!... მართლად მეწინეკალაუბი გი არვის ვეგონოთ, რომ ქუდი მტკრიანი გვსურავს. ისეთი სისახლი ტრიალებს ჩვენ ძარღვებში, რომ... რომ .. სულ... როგორც დაუ-დაუი!“...

აი, კრიტიკის ბეჯითი აზრი თსზულებასუდ, როდესაც ის მოსწონს.

ახა, ახლა გასინჯეთ მასივე «საკუთარი აზრი», როდესაც იმას არ მოსწონს თსზულება: „ჩვენ შეგვატყობენს, რომ ამა-და ამ გამოუტვირთებულ პირს განუხრახავს თავისი ნაბღავების დაბეჭვლა და დამახინჯება ჩვენი საცოდავი საზოგადოებისა. ამ დღეებში გამოვა ცალკე წიგნათა, თუ ადრევე არ ჩაკვდა, ჩვენდა სსინხარულოდ. ვნახოთ, ერთი რა შეიღი იქნება“. აკერ დაიბეჭვდა ასეთი რკომენდაციის მიმღები წიგნი. გამოლანძღული აკრტორი წარსდგა საზოგადოების წინაშე. კრიტიკამაც შეიტყო

და ამჟამადებს ცხარე განცხადებას: „ამ დღეებში ჩვენშიერ უკვე დაბეჭდილი ამჟამი მართალი გამოდკა — გათუტვინობელი ატოკონის ტინგიტი წიგნი, როგორც ჩვენ ვიწინასწარმეტყველებთ, ძლიერ, ვაი-ვაგლასით, გამოხოხორაკდა. და ჩვენც ამ მცირე ხანში ძალიან ვრცლათ მოვილაშაქრებთ ამ თხსულებასზედ“. გადის უწყალოდ დრო, მაგრამ მოლაშაქრება ჯერ არსადა სჩანს. მკითხველმა იცის, რა ნაირი იქნება ის მოლაშაქრება, მაგრამ მანც ელოდება — იქნება ჩვენი კრიტიკა როგორმე ისეთ თხათ გადაიქცეს, რომ სულ ტუუპ-ტუუპი ციკანი მოიგონო. ჰა, მიიუენწება ხოლმე წელიწადი, და კრიტიკაც ამოიღებს თავას მეხიკით გამჭრინას ხმას: „მართალია, კარგა-ხნია, რაც ეს რეკონული წიგნი გამოხოხორაკდა, მაგრამ ჩვენ არაფერს ვამბობდით, რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ იმას სულელისა და მხედრის გარდა არავინ არ წაიკითხავდა რიკიანი კაცი. ჩვენ წავაკითხეთ და არავითარნი შთაბეჭდილება არ თქონია ჩვენზედ. სომ მოგსჩენებთ, გამოხოხორაკებული რამ მოაგონებს კაცს იმერულ თამაშობას — ღორობას. და აბა ამისთანა ღორობასზედ, ანუ ღორობედ ღიწს, რომ ჩვენისთანა აქლემებმა (უგაცრავოთ, აქლემებმა ვი არა — ბედაურებმა) დაგვარკოთ ძიკრთასი დრო და ვთქვათ რამე! არა ღიწს, რადგან ჩვენი ღაშაქრავი წულის ნაყვას იქნება: ღორონის დამწერი თითონაც ღორონი იქნება, — მერე ეს ცხოკელი და გაუკონარი ვიკი თითქმის ერთი და იგივეა. ვიწს აბა რას ეტყვი! გინდა რამაც სთქვა, ვინ არის შენი გამგონე! თუმცა ჩვენ შარშანკუ დაკვირდით მკითხველს საზოგადოებას, რომ მაღე მოვილაშაქრებთ ამ გამოხოხორაკებულ წიგნზედაც, მაგრამ ერთის მხრით გვრცხვენოდა პირობის აღსრულება. ან რის მანქანას სიტყვის გაუტყულობა? არაფერია, თქვენმა მისემ! და თუ ესლა ჩვენ აღარა და აღარ ვიძლით ღაშაქრავს, ეგ იმი-

ტომ, რომ ამ მოკლე ხანში ის იდიოტი მწერალი, ჩვენდა გულთად სამწუხაროდ, კიდევ აზირობს თავისი გამოფხვნილი ტვინის ნაწარმოების დაბეჭვდასა. ჩვენ წინათვე ვიცით, რომ ეს ავტორი და გოგოლის გიჟი ერთმანეთს შორს ვერ წაუგლენ თავიანთ მოასრებაში. აი თუ გინდა პირველი მისი ნაწერი გაკსინვლათ და თქვენ იფიქრეთ — შეუძლიან თუ არა ამ მწერალს, მიქარვის გარეშე, სხვა რიგიანი რამე დასწეროს?!

ჩვენ არ გვეშინიან «საკუთარი აზრის» წარმოთქმა, გინდა მოწინააღმდეგეს იქნამდის დაეწვას გული, რომ მოგვეპაროს და შიგ შუბლში ფიქტო დაგვასაღოს — სამართლისთვის ჩვენ დიდი ხანია თავი სვარაკათ, კურატათ გადაგვიდვია. აბა, მამ მისმინეთ ჩვენი აზრი...

„მკითხველები, რასაკვირველია, უთქმელათ დაშეთანხმებთან, რომ ეს წიგნი არის მტკნარი სულელობა. წყობა სულელობით, შუა წელი და — სისულელეა, ბოლოში ათაგებს იმავე სისულელით, როგორც ვეფხედობდით. ან რა უნდა გამოსვლად ხელიდან სულელსა და რეტიანს! სომ გახსოვთ, ჩემო საყვარელო მკითხველო, აბა და ამ გვერდზედ სიტყვა «საზოგადოებას მაგიერათ ჩვენი გაშტერებული თვალები კითხულობდნენ „საზოგადოება“ო, მერე ნახევარი ასოები მაინც ამ სიტყვაში უიწამლა დაბეჭდილი ამოვიკითხეთ. წარმოიდგინეთ, კინაღამ თვალები არ გვეტყინა. საწყალო მკითხველო, რამდენი ცრემლი ჩამოგვვარდა შენი გულისათვის! ვინ იცის, რა ხაირათ შეგაწუხა იმ სიტყვის ამოკითხვამ, გაგებამ, კიდევ ამოკითხვამ და კიდევ გაგებამ! აბა, კაცმა რომ ჯერ რიგიანი წერაც არ იცოდეს, ჯერ ანბანის ამოცნობა არ შეეძლოს, ამისთანა კაცმა განა კლამს ხელი უნდა მოჰკიდოს! კაჭი, რატო წვერი არ მოსტყდა იმ ბაღთაშან კლამს, რაცა ის თა

ვის იდიოტურ წიგნსა სთხზავდა! მაგრამ, საუბედუროთ, ეს  
 რხერი კალამიც ბევრია ჩვენში გასაყიდი, და ასე გასინჯეთ,  
 ძალიან იაფათაც იყიდებიან. ვაჭი, ჩვენ ხელში მანც იყოს იმა-  
 თი გაეიდგა! რაღა ასეთი ხელეუბნად-დასწუნებელი მწერალი იშო-  
 ვნიდა კალამს, მაშინ ყელთან მოსაჭრელი თავი ზედ ყურებთან  
 გადაგუჭრათ ჩვენთვის! ჭო და, მანამ ასეა საქმი, კალმის წვე-  
 რაც რომ მოსტყოსოდათ, ახლა სხვას იყიდნენ და მანც კი-  
 დევ დაბლავნიდნენ ჩვენი გულის მოსაკლავათ და თვალების  
 დასაბრძოლებლად.

„გიდევ ბევრი და ძალიან ბევრი სათქმელი გვაქვს, თითქ-  
 მის, რომ არ გვეზარებოდეს, ორ ამდენს გიდევი ვიტყვოდით, მე  
 და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ არა ღიხს— რაზედ შეგაწიხნით თავი!  
 ესეცა გმარა... აქედან თქვენ აშკარათ გაიგებთ, რომ ამასთანა  
 თავ-მოყვარე ხალხები უნდა დაიჭიროს გაცმა, შეკრას ძველებუ-  
 რი ღაწათიანი და დაწაბილურა „როზგი“ და შიშველად ტან-  
 ზედ ერთი თუ ორი... ერთი თუ ორი! ამის შიტი არა ეშვე-  
 ლებათ რა იმათ. ისინი ისეთი უსწავლენი ზ უცოდინარნი არიან,  
 რომ ჩვენისთანა განათლებული კაცის სიტყვას ვერ გაიგებენ.  
 აი როზგი ასლი იმათი საქმია.

„შეგაწიხნეთ თავი, მაგრამ საცა გავათავებთ ამ შენიშვ-  
 ნას. ერთი ორიოდე სიტყვაცა. სამწუხაროა, ფრიად სამწუხარო  
 და სატირელია, რომ ასეთი სულელები ჩვენ ჭკუას გვაწავ-  
 ლიან. ვაჭივე, რატომ დედა მიწა არ გასქდება და შიგ არ ჩა-  
 გვიტანს, როდესაც ამ გვარი იდიოტები წიგნებსა ჭბუჭდავენ!  
 სწორეთ ხელს კი მოვიჭრიდით ჩვენ, რომ იმათ ადვილას ვი-  
 ყვნეთ, და იმისთანა სიმხეტვას კი არ ვაღვიარებდით! ვინა  
 სთხოვდათ, რომ დაწერნათ? არა, ჩვენ აქ არ ვცუვავით! როგორ,  
 ჩვენ ვეღარ მოვახერხეთ წერა, რომ იმათაც არ ამოეყოთ თა-

გები?! დასწევკვლათ ღმერთმა! სწორეთ გვრე მაჟუიდათ, ჩვენო საყვარელი საღახო რომ იტყვის ხელმე, ჩვეულებრივი სიბრძნით: «გუმ ფიხი გამაყო — მეც ნახიჩ-ნახირაო». ვაი, დასწევკვლათ ღმერთმა ისინიაც და იმათი სუფელური ნაწერებიც!!!...

ამას იქით ვი იმედი გვაქვს, რომ იმათსა აღარავინ წაიკითხავს, მოიტყუება ისევ ჩვენგან და არ უაღაღატებს საყვარელს მამულს... .

## II

ასეთია სასოგადოათ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა და იმიტომაც უჭინავს თავი ამაყთ. არ შეძენის თუ... დახელოვნებით ასეთ „აზრებს“ ატარებს სასოგადოებაში არამც თუ მარტო ცალკე წიგნას შესახებ, მთელი პერიოდიკული ორგანოებიც იმავე ღაზათით იქნებიან ხელმე მიღებული ამ კრიტიკით. აკერ მთიგონეთ თუქდა, რამოტყლათ უიმ დობა და საკვდილის ნატკრა იხარველოდა ქართულ მწერლობაში, ვერ როდესაც უუჩინა ლი „იმედი“ არც ვა გამოსუდიყო ქვეყანაში. ასეთივე დღე მთაყენეს „შრომათა“, რომელზედაც ვა გეს, რომ თსაუნა შეუტანიათ მისი გამოცემის ნება რთის სასაღებათაო. გვ რათ გინდათ! აი თითონ ამ დღეებში რა ხაიჩ ბოლოს უწინასწარმეტყველებდა ჩვენი მაშკრალი «დროება» საწყალ, ერთი ბეწო პათუმის რუსულ გაზეთს ..

ამ გზაზედა სეიჩინობს ჩვენა კრიტიკა და ამ გზას ადგა ჩვენი პუბლიცისტიკაც. ამა გადახსნიკეთ უგანასგნლი ნომრება «შრომათა» ღ ნახეთ, როგორი სახტაყური ხასიათი მიუღია მას ადამიანის შირკვნებისაკენ. მე არა ვარ მომხრე არც უ ღოღობურედა-



სა, მეტადრე არც თ. ა. ნიუკამასა, მაგრამ, სწორე მოგასხიწოთ, რაც ამ გასეთს მათთვის ტანჯვა მიუყენებია, უბრალო ვიწრო-პარტიული ინტერესებისათვის, სწორეთ რომისა და ისპანიის განთქმული ინკვიზიციაც კი ვერ მოიფიქრებდა მაგასდ მამატებულ სატანჯველს: ჩვენ, ახალ-გაზნდობა, პატრიარხურათ ვიდწვით სამშობლესათვის და თქვენ კი, რადგანაც ჩვენ მხარესედ არა ხართ, არამედ სტდილობთ, რამ ჩვენზე უღონიერესთას დაიჭიროთ საქმე, ამიტომ თქვენ მამულის მოლაჯატინი ხართ, ჩაფურთხებულნი, გაჯანმღუნი. თუ თითს არ მოიხრით, ასეთი გოჯრისპონდენციები ვაფრინოთ რუქულ გასეთებში და ისეთი რამეები გუოხრათ მთელნი რუსეთის საზოგადოებას რომ, რომდესაც თქვენ იქით გაემგზავრებით, სულ ციება დაგემართოსთა!...

რასა ჭტავს ასეთი კრიტიკა შიროვნების მოქმედებისა? რათა ვიწოდებთ, რომ თუ ასმა კაცმა გაჯანმღა ადამიანი და ორასი კი მისი ქებით განცხრომაში იყო, მას პატრიარხ სტმდა, ამისთანა კაცს თამამათ შეუძლიან, რომ არ დაკარგოს არსებობის უფლება, მეტადრე სურვილი. იმას კი ისეთს დღეს აფრინა, რომ თითქო რეკლამურს იქით სახსარნი აღარ საითა გაქვსო, დაიეტ გულში ზ გაათავე შენი სამარცხვინო ცხოვრება. ნუ თუ საზოგადო მოწმედი მოსაკვლელია, რომდესაც ის ჭთვიქრობს, რომაო, მართალია ახალ-გაზნდობა უფრო უკეთ წაიყვანს ჩვენ საქმესაო, მაგრამ ვაი თუ ძველმა თავობამ აჯობოს ამოჩვენაში, დანარჩენის ხელში ძალა ზ, მე რომ ახალ-გაზნდობისაკენ ვიჩინო თავი აშკარად, მაშინ ამ ძალამ გათელოს ბანჯიც, ამ ახალგაზნდობის ღტოლვანა, — და თუ ამით საქმეს ელაჯატება, მადი მე ცოტას ვიპოლიტიკანებ, შევივაკებ, თავსა, არას მოვიმოქმედებ ამ

საქმეშია, — განა ამისთვის უნდა ვაძვინჯოთ მათი საქმეები? ეს დიდი ბედობაა-მომქმედება.

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც ცუდი მხრის, აგრეთვე კეთილის გაზვიადება ანაფერა მანქანაა. მათში ისეთის საზოგადოებას არ შეუძლიან გულწრფელათა სთქვას, რომ იქ ახალ-გაზდაობას ვერ არ გამოეყენებია თავი იმდენათ, რომ დაეთვარა მომქმედი ძეგლი თანა? სამწუხარაა, რა თქმა უნდა, რომ ახალ-გაზდაობას არ უჭირავს ხელში ცხოვრების ბაზირსი, მაგრამ ხომ ხამდვილი ფაქტია მისი უღმინიერობა! აი, იმომქმედეთ, უკეთ გაიძარით ხელი, დაანახვეთ საზოგადოებას თქვენი აზრი, თქვენი მიმართულება, მოაწინეთ თქვენი სამოქალაქო იდეალები, და მაშინ თამამათ შეგიძლიანთ გახვიდეთ საზოგადოების სათაქრში. თუ არა და, ეს მამულის დალატო, ეს გამტკმელობა, ეს სინიდასის დაკარგვა, ეს თავზედ დათვის ჩამოსხმა — ამასთანა ლექსებითა და ციფის წამებით გასეთი მსოფოდ ინკვიზიტორობს, თავის საზოგადობრავ ძაღას ამცირებს და ამკარად ახმარებს ამ ძაღას კერძო კაცის წინ-დაუსვდაკ გაუპატოუებასა და თითქმის მოკვლას. სადაც შიძლება პირდაპირი ბრძოლა, იქ ინკვიზიტორობა დიდი დახმარებაა სინიდისის ქვეშ. ინკვიზიტია მოუხდება არა განათლებულ და გუმანიურ ძაღას, არამედ სიბხეღეს, ცონება და ნამუს წართმეულ, დახშულ, კვლურ ძაღას...

ჰო და ამ კვართ, როგორც ლიტერატურულ კრიტიკას, აგრეთვე საზოგადობრივი მომქმედების პირთქებათა ცხოვრების გაჩეკვას ასეთი შეუსაბამო ფერა სდევს ჩვენში საზოგადოთ. ამიტომაც არის, რომ ჩვენში ზოგასთვის კრიტიკას დაუმზადების დაუმსახურებელი გვირგვინი, წითელ ყვითლად აჭრელებული; ზოგს კი ესავე კრიტიკა ფიქტორულ დაუნდობლათ ეკიდება და ისე-

თივე უკულო, უსწრა და უდაძინაობა, როგორც აჩის თითონ თეძტო, ჩვენებურათ ღამანა

რასაკვირველია, ასეთი კრიტიკა ძნელია გულ-ჩვილი და რბილი, გაუბედავი კაცისათვის. მაგრამ ვისაც ცოცხალი მანაც შეუძლიან არ დაკარგონ გულას სიმატე, როდესაც მასზე ამის-თანა შეუსანამო «ზრებს» აგრცელენ ჩვენ საზოგადოებაში, იმას არ გაუძნელდება ხელს გაქსევა უღონო განზრახვებების მოსაკრებლად.

### III

პირად ძალიან გვემუქებოდნენ ჩვენი ნაცნობები — ავანო, შვილასა, აი დაიბეჭდება ხედადოვის სტატია, და ახა, მაშინა გნახეთ, რაც ბიჭები ხართო! — ჩვენც მოუფრენლად ველოდებოდით, რადგან გვეგონა, რომ უ ხედადოვი მიუდგომლათ შეიქდავს საგანს, აზვის არ დაინდოს არც შეგობრობით, არც ნაცნობობით, ე. ი. პიეტურათ რომა ვსთქვათ, იგი ამოვა ჩვენს მწერლობაში, როგორც წამთქის მზე, რომელიც ერთნაირათ ათობს მდიდარსაც და ღარიბსაც, დიდსაც და პატარასაც, ანუ ჩამოვა თიბათვის წვიმათ, რომელიც თანაბრად საგრილეს მიაყენებს განუჩვეულათ ყველას. ველოდით ამას და გვახაროდა, რომ ერთხელ მანაც ითქმება ისეთი სიტყვა, რომელიც ასენბეული იქნება არა ვიწრო პირთვებაზედა, არამედ საძირკველს გაიკეთებს ღაზათიან მოსაზრებაში, დადგება რომელსამე სამეცნიერო პრინციპზე, სადაც არა აქვს არავითარი საქმე წვრილმან თავ-მოუვარეობას, — ამ პრინციპის შუქით განათებს ჩვენ შეცდომილებათა და ღრმათ დაგვაფიქრებს, შეთქი. დეე, დამძრა

ხონ და მე კი მეგონა, რომ ნასწავლი ახალ-გაზდა, რომელიც განვითარებულა გგონია ლიტერატურულ და სოციალურ კითხვებში, უჭკადად შეიტანს ცოტადენ სინათლეს, თუ ღმერთს მისთვის მიუცია რაიმე ნიჭი, რადესაც ეს კრიტიკული თვალთ შიკვდავს ჩვენ პატარა და ჯერ თებსუდ არ დამდგარ მწერლობას.

წარმოდგინეთ, რომ მე სრულიად გამიცრუდნენ იმედები. წარმოდგინეთ, რომ მე უ. ხუდადოვისაგან ყველანაირად ნაკლებ მოკვლადობადი იმ დიდ-პატარაობას, რომელსაც ის აღვიარებს ასე თამამად. წარმოდგინეთ, რომ ის ლიტერატურულ და ზოგად სოციალურ კითხვებში სრულებითაც არ ყოფილა ისე განვითარებული, როგორც მე მეგონა. დაუმატეთ ამას ისიც, რომ უ ხუდადოვი არც ზამთრის მხე ყოფილა და არც ზაფხულის წვიმა, რომ იმას სამშობლო ლიტერატურის ინტერესები კი არა ჭქონია და ამიტომ შეცდომილებათა გამომკვლევა, მაღალი პრინციპით ახალი გზის ჩვენთვის კი არა სდების გულში, არამედ იმას სახეში ჭქონია მხოლოდ ერთი ვიწრო პიროვნება ახალ-გაზდა მწერლებისადმი: თქვე დაწინააღმდეგობა, დაიკარგუნათ აქედგან! თქვენ კი არ უნდა სწეროთ, აი ჩვენ-სთან «მეთოდის» გაცმა უნდა სწეროს!» ერთი სიტყვით, არც რაიმე პრინციპი, არც სამშობლო ლიტერატურის ინტერესები, არც ახალი გზა .. საუბედურათ უ. ხუდადოვს სწადებია თურმე თავის საგუთარი თავის გამოჩენა, თავისი ღირსებების პირველ პლანზე დაყენება — რა ხელი აქვთ, რომ ვიღაც უზინოები, უდიდლო-უპატენტოები შემოსუფან ჩვენ მწერლობაში! გავრეკათ ეგ უღირსნი აქედგან! იმას ის დავიწყებია, რომ უღირს გაცს ვერც დიხლომი დაიხსნის, ვერც სინერკე უშველის. დაჭკიწყებია, რომ სალიტერატურო ასპარესზე გაცი თავის გაიტანს

მხოლოდ ნიჭით, ცოდნით, და გრძნობით. ეს თვისებანი კიდევ ისეთი ღვთისაგან დალოცვიანი რამ არიან, რომ მათი მოსყიდვა არც დიბლომს შიულის და არც ჭადანას — ისინი მოთავსდებიან ახალგაზღვრებშიც და ხებრებშიც. მხოლოდ მახუცებულების ჰკონიანთ, რომ ჭკუაცა, სწავლაც, გამოცდილებაც იმათ ხელშია, და ამ შეჭადარი აზრის წყალობით ახალ-გაზღვრულთმქელად, გამოუგლეკვად აღვიარებენ უჭკუო, შიმცდარ ადამიანთ. თუ ახალ-გაზღვრულ მანც არ უმტუენთ თავის მარადობას და არ დაიშალთ თავის გზაზედ სიარული, მაშინ მოხუცნი მას გიბობსაც შესწამებენ, გაცნობდებიან კაცზე, უგელგან იმას ამაგებენ, უგელგან ცდილობენ მას „ბუღის მოკვლას,“ ღანძლავენ და ათრევენ უსაბაბო საბაზუდა.

## IV

უბედურიათ, — ამბობს უ. ხუდადოვი — ვინც ჩვენში ჭეშმარიტიტობას და გზას ეძიებთ, იმეცობათ, რომ ჩვენა მწერლობა მას არც ჭეშმარიტიტობას ამღევს ხელში და არც გზასათ. ამ უგვდავების წყაროს ვერც ჩვენი ცხოვრების ურთიერთობა მისცემს, რადგან იგი რატუნა გლეჯს: ზედ მადლს არ წასულათ და მედამ წარმოგვიდგენს მხოლოდ საზიზღარ სურათებს, რომელნიც ვერც დაამჟიღებენ, ვერც დააშობინებენ, ვერც მიიზიდვან თავისკენ გაურეგულ გულსა, გამოუცდედ განქვასათ. მასასადამე კაცი აქ ნურცაჩას ეძებს (სადა? ცხოვრებაში ნურას ეძებს?! მას საფლავებში ეძებს თუ თავის კაბინეტში!? აქამდის ჩვენი ბრძენი მწერლები საფლავებისკენ გვიშეკრდნენ ხელსა — წასულელი ცხოვრება ჩვენი მხსნელია. აი, ცოტა ხანს უკან უხუ-

დადოვი კიდევ სევას გვეტყვის — ის კაბინეტში შეგვეყრის ევროპიული მეცნიერებისათვის... მეთოდისათვის... მაგრამ ამასვე მეჩე (იქოს...) და ვერათეორიასაც (?) ვერ იზოგნის“ (რასაკვირველია, ვერას იზოგნის, თუ თვალუბში ბ.ნდი აქვს მორკული და ყუკრებში ლანარეთის ბიბია დაუგვია) აი ლიტერატურას შეუძლიან წყდულსედ მადამოს დადებამ, მაგრამ ჩვენა ლიტერატურის წინამძღოლბობასედ მხელის ლანარაკიო, «და რა არის აწ თვით ჩვენა ლიტერატურაც? რიი ჰაწაწინა ყურნალი, რომელთა შორის ერთს უკვე სამარისკენ იგვის გაუშევირა .. (ვერ მოგარბოით, უგარბოდ! ექიმუმა ძალიან შეწევეს ხელი და ეხლა სსაქალსკ ს იუურება. ღმერთი მოწყაღვა — რბლის გვერიც რორგომე გამობტხება. დღეიდგან «იმედმა» სამარკიედ აალო სედი სამუდამოთ ლ დაუთმო ადგილი იმას, ვისაც სურკილი აქვს იქითკენ გამგყავრებისა, თუმცა ამისთანა მოგზაურობას არავის არ ვურჩევთ — ცუდია.) მეჩე, რომ რიგანი ვინმე სწერდნენ შიგ, კიდევ ჭო, თუ არა და — ვიღაც უ'უ'ური ბავშვები (წლოვანობით უ. ხუდადოვს თითქმის არც ერთი არ ჩამაუგარდებია) რომელთაც არც ცნოვრებისა (ეს ხომ საჭარო არ არის თქვანი სიტყვით!) არც მეცნიერების არაფერი (?) ცოდნა არა აქვთ, და უმეტესად სამწუნარო ის არის, რომ სრულიად საჭაროთაც არ რაცხენ (ვინ მოგიტარათ?) მათ შექმნას. გაუგონიათ — ალია მომგედარაო და ის კი არ იციან, — რომელიო. აგერ მეტივეების დამწერი სამინლათა ჭბამავს უსვენსვისაო, და ჩემი უერთთ არა ერთხელ და რჯვერ გამაგონია, ამ მწერლისაგან ტრახახი, რომ მისი ხაბლახნი უსვენსვის ნაწერებს ბევრით სკობიანო. (მე უფრო ახლო ვდგევარ ამ მწერალთან და რატომ მე ვერ გავიგე მისგან ერთხელ მაინც ასეთი სიტყვები? მაგრამ, ვსთქვათ, რომ კიდევ გაიგონა მისგან უ. სუდადოვმა,

მეკე ვინ მისცა ნება, რომ იმან ეს კერძო სიტყვები გამოს-  
ქვინა?! ნუ დაივიწყებს უ. ხუდადოვი, რომ ასეთი საქციელი  
არც ერთს რიგის მწერალს არ მოეწონება.) ტრახანობენ ესე-  
თი უსუსური ბავშვები და სწერენ, „თითქმის გვამში რაღაც ეშ-  
მაკი ჩასძრომიათ და უჩინებინებო“ (თქვენ რაღა ჩავძრომიათ  
და გინებინებოს? კარგია ვინცოდეთ ესა, რომ ეტება, დედა მე-  
ცადინეობის შემდეგ, განვადლოთ ეშმაკი გვამადგან და ჩავიძვრი-  
ნოთ ისა, რაც თქვენ გინებინებოს!)

ბელეტრისტიკა ხომ ეშმაკების ჩინებინათაა გამოსული ქვე-  
ყანაზედ. მაგრამ არც კრატოგოსები, არც ეკონომისტები და  
არც სხვა მეცნიერებათა წარმომადგენელები, რომლებიც „ჭინჭ-  
ველსავით ირევიან ამ ახალ-გაზღების სროვაში“, არც ესენი წა-  
სულან ეშმაკის ხელიდგან.

აგერა, აიღებს უ. ყიფშიძის ნაწერს — თავიღგან თუ  
ბოლოდგან? რომელიც შარშან «იმედში» იყო დაბეჭდილი, სა-  
დაც რედქცია ახსადებდა თავის უთანხმოებას ავტორთან ჩვენ  
ამ სტატიის შესახებ არას ვიტყვი, გარდა იმისა, რომ, თუმცა  
უ. ხუდადოვს შეუმჩნევია მისი ნაკლულეკანებაანი, მაგრამ უ. ყიფში-  
ძის სრული ნება აქვს სთქვას — «ისეთმა ფურცმა მანც დამწი-  
ლოს, რომ საწველელი აავსასო», იმიტომ რომ, სწორეთ ამ-  
გვარე გაუგებრობა და თითქმის ამისთანავე შეცდომილებაანი გაი-  
მეორა უ. ხუდადოვმა, რისთვისაც უკანასკნელი მწარეთ დასცა-  
ნის პირველს. განსვავება მხოლოდ იმაშია, რომ უ. ყიფშიძის  
შეცდომილებაანი წარმოდგენს მართელი შარტიის შეცდომილება-  
თაგან — აგერ «ივერია», «დროება», «შრომა» სულ ამ შეცდომათა  
ხედავად არ იგებებიან! მაშინ, როდესაც უ. ხუდადოვის შეც-  
დომილებაანი ეგუთუნებინათ თითონ ხუდადოვს: უ. ყიფშიძე სცდე-  
ბა, მაგრამ წახათიანათ სცდება, უ. ხუდადოვი კი სცდება ამა-

ყალკად ტრახანსით და თავ-გამოდებით. ამას შემდეგ უფრო ნათლად გაიგებთ.

კრიტიკოსის შემდეგ გადადის ეკონომისტზედ, უ. გურგენიძეზედ, რომელსაც დაუწერია „ეკონომიური ტრაქტატი“. მაგრამ „რა საშენელს უმეტრობას, სიბრძნევას შესვლებით! წარმოსადგენა არ არის, საღის ტვინის პატრონმა ეს საოცარნი, ახარებულნი, ვითომ ეკონომიური ჭეშმარიტებანი როგორ უღვივარა ვერ კიდევ არ შექმნილს მკითხველს. მაგრამ სამ გაგიგონიათ — «კუმი ფეხი გამაჭეო: მეც ნახირ-ნახირაო». უ. გურგენიძე ამოაბს თავას სტატიაში, მხოლოდ, რომ ქართველ სალხს ესარგება წელწარში ქალესებზედ, მკვლართა საწინაგზედ, ნათლობაზედ, ძეობაზედ, ქარწინებაზედ და დღეობებზედ 7,500,000 მანათი და ვალში უვარდება ამის-გამო კარაპეტ რჭანებსაო. და ათწესია, რომ ეს ამოდენა ფული მიდის უბრალო სიმთვრალეზედ და არა რიგიან საქმეზედაო. მართა ეს აზრია უ. გურგენიძის სტატიაში, რომელიც არ არის ურიგოთ დაწერილი.

ვისაც უნდა, შეუძლიან ჩისუბონ უ. გურგენიძეს, როგორ თუ შენ არ მოგწონს ჩვენი ხალხის ღოთობაო! ეს იმის სიამოვნებას შეადგენს და ამიტომ უნდა იღოთოსო, ვალში და ვახში ჩავარდესო. მაგრამ უ. გურგენიძესაც სრული ნება აქვს, არ შეურიგდეს ამ ღოთობასა და ქეითებს, რომლებმაც მთლათ უგან დაწიეს ეკონომიურა ძალა ჩვენი ხალხისა, და ამ შემთხვევაში უ. გურგენიძე მაინც ჩასაქოლი არ იქნება — მისი აზრი არც ეკონომიურ ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება, არც ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს. მაშ სულ ჩასაქოლნი იქნებიან ის გამოჩენილნი მწერლები რუსეთისა და საზღვარ-გარეთელები, რომელსაც ისინი სწერენ აი თუ გინდ პროსტიტუციაზედ, აშკარავებენ მის საზაზღარ მხარეებს და თანაგრძობას უცხადებენ მის



მისვერძლებს — როგორ შეგიძლიანთ მაგის სისამკლეზედ ხმა ამოიღოთ, ან იფიქროთ მაგის მოსპობას? — „ტუვიან იმ მწერლებს უ. ხუდადოვისთანაჲ პუბლიცისტები — მაკაში პოეზიას რამდენამე მილიონი ხალხი თავისთვის ღუკმა პურსადა და სხვანი.

ჭო და, აზრი უ. გურგენიძის სტატიისა ეს არის. უ. ხუდადოვი კი მისდგომია და სტინავს უ. გურგენიძის სტატიას ისეთი აზრებით, რომლებიც უკანასკნელს სიზმარშიაფ არ მოლანდებია. „რად უნდა ტუუვილათ მხიარულობს, თამაშობს, ბლანძუნობს, სიმღერას გასძახისო, ეს ხომ სულ ფული ღირსო.“ ხალხმა რომ ამ მოჭარბებულ სარჯზედ ხელი აიღოსო და ასრე „ბ. გურგენიძის წინადადება რომ ასრულდეს როგომე, რიდა ი უნდა განსხვავდებოდეს მაშ ეს ჯაფის მონა თავის საქონლისაგან, ოსი ფულის პირუტყვისაგან? .. მაგრამ იქნება მართლად ღმერთს გლეხ-კაცი იმისთვის გაუხენია, რომ სხვადასხვა გვარ ხალხის მოძღვრებს გაუსუქოს მუცელი, გაუმსახ ჯიბე, მისცეს მათ შეძლება — შეიღები შეცნიერად აღზარდონ, სწორედ ასე ჭიჭიქრობს ბ. გურგენიძე.“

დადი და არ სავატიებელი ტუუვილია, დიდი ცილისწამება! ეგ თქვენ გინდოდათ, რომ უ. გურგენიძეს მაკეთი სიტუებები ეთქო და მკრე „საყვარელი ხალხის“ სახელით, გაგეტყვებინათ საცოდავი კაცი. მაინც ეხლა მოდამა, რომ ზოგი მამულის სახელით ისეთს სიტყუეს გამოსთქვამს, რომ ზიზღი გულს გაუსუთქს პეტროსან კაცსა; ზოგი შეცნიერებისა და მისი მეთოდის სახელით ისე გასცდება თითონ შეცნიერებას, რომ „უსუსური ბავშვიც“ კი ითავილებს მას; ზოგი „საყვარელი ხალხისთვის“ მოიფიქრეტს თვალს, რომ ეგებ ცრემლები გამოწუროს როგორმე იქიდგან და

ამით იშოვნოს საბუთი რამე თვის მოქმედების გასამართლებლად. აი, უ ხუდადოვიც სწორეთ ასე მოიქცა — დააბრალა გურგენიძეს ისეთი სიძულელი ხალხსადმი, რომელიც გურგენიძეს თავის სიციცხლეში არ უგრძნია გულში, დააბრალა ეს სიძულელი, იმიტომ რომ გადმოჭყარას ცრემლები და ამისთანა საგულჩვილსა სახით მიისუდოს მკითხველის ნდობა, ე. ი. მოატყუოს მკითხველი — აგერ, რას ამბობს ეს ქვეყნის მტერი — საწყალ ხალხს წავართვათ ეოველ-გვარი სიამოვნებაო, იცრემლებსა «გროგოდლის ცრემლებითა» ასე უწყალობთ ჭიჭიჭობს უ. გურგენიძე ხალხზე და პირუტყვასო ხდას მათაო, „თორემ რაკმშავი და ქაჯი დააწერინებდა ბ. კონომისტს შემდეგ სიტყვებს: „ჩვენ ნამდვილათ ვიცით, რომ არამც თუ ნაცნობები და მკობრები, არამედ თვით ნათესავებიც გაუბედურებულის ოჯახისა ქელებში ეოფნას აძლევენ ხოლმე „თვალ წყალ დალევიებას“, „ოვალის გახელის“ მნიშვნელობას.“ მერე აქედან თავის საკუთარი ჭეუთ უ. ხუდადოვს გამოჭყვას, ვითომც გურგენიძეს უნდოდეს თქმა შემდეგი სიტყვებისა: „არც შებრალება და შეცოდება გაუბედურებულის ოჯახისა, არც სხვაგვარი თანაგრძნობა თურმე არ ჭქონია გლეხობასა,“ მაშინ, როდესაც პირუტყვებსაც კი აქვთ ეს თანაგრძნობაო. საქმე კი უბრალო სალიტერატურო კილოთი აიხსნება, რომ ავტორმა წაართვას სიმშავია ხუცებურქელებს. ვისაც გონდათ ჭკითხეთ და ყველა გიტყვისთ, რომ „თვალის ახელა და წყლას დალევიება“ ქელებშიაო ხშირად არის ხოლმე, ხშირად მარტო მაგისთვის მიდიან, ხშირად მარტო გასაძღვრათ და გამოსათრებლად მიდიან; და არამც თუ მარტო ჩვენში, უურთ დაწინაურებულ ქვეყნებშიაც. რად მიგანინათ თქვენ პირუტყვობათ «თვალ-წყლის დალევიება» ქელებში, ვერ გამოიგია! ვისაც ამას გაუბა შეუძლიან, მუხლ-მოდრეკი-

ლი კვებუები, რომ მოიღოს ჩემზედ მოწყალება და ამისხსნეს მღვდენა.

მაგრამ ერთი წამ ვი სწოწედ მართალი შეუმხნევია უხუდადოჲს. ეს ისა, რომ უ. გურგენიძეს არითმეტიკული შეცდომა მოსვლია, რისთვისაც უ. სუდადოვი ასახუქრებს მსგონებითი სიღატაკათ, აბავიუერ უმეტრებით და ბოლოს შემდეგი იერემიადით: „როცა ჩვენში სხვა-და-სხვა გურგენიძეები ლიტერატორობენ, ბეჭდენ ჟურნალს, ცალკე წიგნებს, რატომ მიწა არ გასკდება და თან არ ჩაიტანს ჩვენს უმეცარს ამაყობას და ამაყ უმეცრებას!» მაგრამ, რათა, ყმაწვილო, თავს წად იმეტებთ სასიკვდილოთ მაგისტანს უბრალო რემეზედ. მაგეთი სასტიკობაც არ გარკა. უნდა გაცმა მამაცურად ჯიტანოს უდიდესი უბედურებანაც —

«ჭირთაშვიან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითგირსა» —

ამბობს ჩვენი რუსთაველი, და თქვენ ვი მაგისტანს უბრალო შეცდომილებამ როგორ მიგიყვანათ სასოწარკვეთილების გარკბოთან! უფრო დაწინაურებულ ხალხში და უფრო არითმეტიკულ სახელმძღვანელოებში შესვლებით ასეთ და ამაზედ უფრო დიდ შეცდომილებებს — ხანდისხან ზადანის ჯამი აჩაყრობა უნდა იყოს ხოლმე, მაგრამ სახელმძღვანელოში შეცდომით მაღიონნი შეგხედებათ, ხან მაღიონის მაგიერათ აჩაყრობის ნიშანი, მაგრამ მაგისტანის თავს აჩაყინ იგლავს, მიწა არა სკდება და შიგ არ იტანს «უმეტრს ამაყობას და ამაყს უმეტრებას». როგორ იქნება! მეტადვე ამისთანა უმთხვევაში უმეტრებას აჩაყინ აჩაყინ არ დასწამებს. თქვენ ვი გგონიათ, რომ უმეტრებით, არითმეტიკის უცოდინარობით მრუვიდა უ. გურგენიძესაო. ეგ ნამეტანია, თქვენმა მისემ.

მეჩე ისევ უბრუნდება უ სუდადოვი ჩვენ საცოდავ ბელეტრისტიკას. „აქაც, როგორც სხვა ლიტერატურულ სიუჟეტში, უხეიროდ, მოუხერხებლად ჭამავენ (ეს მხოლოდ გულ მოსაკლავი) ფრანსა... ფაქტები არ არის საჭირო?) რუსულის ბელეტრისტიკის აწინდელ მიმართულებას“... ავტორის პირველივე სატყუებიდგას სედავს მკითხველი, რომ ესა-და ეს გამოხატული გვაში ბოლომდის უთუოდ კეთილი უნდა იყოს, ესა-და-ეს უოო-ოდ ბოლოტიო». (მაშ რას ეძახით თქვენ ლიტერატურულ თავას გატანას (выдержанность) ბოლომდის?! აბა გადაშენვით დიდებული შექსპირის გინდა «მეფე ლირი», გინდა «გოროდლანია», გინდა შილლერის «ყანადები», გინდა ლესინგის «ბრძენი ნატანი», გინდა ვიკტორ გიუგოს «მე ვიწლი», გინდა მისი «კლოდგე», გინდა გეტეს «ვილგელმეისტერის სწავლების დრო» და შრავაჯიც სხვები, — განა იქ შესვდებით, რომ გმირები თავში საზიზღარნი არიან, შუა წელში სასამოგონო და ბოლოს ვიდრე საზიზღარნი?! როგორ იქნება! კაცი რომა სწერს, უნდა იფიქროს თან, თორემ რა გამოვას!) „გამოყვანილია, ესთქვათ, პრესტავი — ეს უბედურნი ძალიან ამოჩემებულნი არიან ჩვენი რომანისტებისაგან — (აი, ეხლა თქვენ ეფაფრებით, მაგრამ რა იფურცლის შემდეგ უფარეს დღეს დაყენებთ) ის ყოველ ცხოვრების მოვლენას ქრთამით და მის რადნობითა ზომავს. (მაშ რითა ზომავს?) კაცი რომ იხრობოდეს, ხელს არ გაანძრევს, თუ გასასაზნავს არ დაჭბირდნენ. თუ კნააზია გამოხატული, უთუოდ ხალხის მტარველი უნდა იყოს, (მაშ როგორია საზოგადოთ კნააზია ჩვენში!) თუ კნააუნა — თავ-მსუბუქი და გლეხთ მასიზღარი (მაშ არა?!); ამისთანა სურათები ნამდვილი ცხოვრების შესაფრენი კი არ არიან, არამედ უნიადაგო, არა ცხოვრებაზედ დაფუძნებული». (მაშ როგორი სურათები არიან ნა-

დაგიანნი და ცხოვრებას „დაუუმნებუნი“!) ასაღვანდა მწერ-  
ლებში უკვდავების წყაროს კი არა, არამედ უბრალო წუმპესაც  
კი ვერ წაწვდება წუერვილის მოსაკვლელად» კაცი.

ამით ათავებს ახალ-გაზდა მწერლების ნაწერებს უ. ხუდა-  
დოვი. მათ ჩასაქოლად ავტორს მოჭყაეს საბუთათ მარტო ის  
მკვასე-მკვასე თრანები, რომლებიც მე ამოწერე, და თვაქტები  
კი არავითარი. ეს ძალიან საყურადღებოა. კაცი გამოლანძლო,  
თავზედ ლაფი დასხა, მიწაში ჩაჭოფა და მიზეზი კი არა მო-  
იყვანო რა! შესანიშნავია, თქვენმა მზემ და მოულოდნელი!

აქედან გადადის ავტორი «დანარჩენი დასის» (მოხუცებუ-  
ლების) განხილვაში. ისინი უფრო რიგიანები, საზრდინები და  
«პატრონისანი მოსაზრებისანი» არიანო. ღმერთმა ქნას! მაგრამ  
ავტორ «განმარტებითი წერილი» მოჭყაეს ამის დასამტკიცებლად.  
იქ სასოფლო სკოლას ცამდის აყვანილი. უ. ხუდადოვი ამტყუ-  
ნებს მას დაწერს, რომ «სახალხო სკოლას» კი არა აქვს დიდი  
შნიშენელობა, არამედ «ხალხის განათლებასო», და ამ რეკრმინს  
ვერ არჩევს ერთმანეთში ისაო. (ძალიან მართალი შენიშნავა,  
მაგრამ ახალ-გაზდა მწერლისთვის რომ ეპოვნა ასეთი შეცდო-  
მილება, სწორედ ზურგზე ბოლს აადენდა იგი. მადლობა ღმერთს,  
რომ ძველებს შინც რიგიანათ უკიდება, თუმცა ეს იმითი აიხს-  
ნება, რომ «ხელშა ხელი გაბანა და ორთავემ კი პირიო»). მე-  
რე საფუძვლიანათ არღვევს იმ აზრს, ვითომც სახალხო სკო-  
ლებს შეეძლოთ ქვეყნის გაბედნიერება. ამას იქით კაცი მშვი-  
ნიკრად ილაპარაკებს, გარდა ორიოდ შეცდომილებისა, მაგალი-  
თად «ხნობით პრინციპებს ისტორიაში არადღეს არა ჭქონიათ  
რამე შესანიშნავი გავლენა» (აქ გურგენაძეს და ყიფშიძეს შე-  
უძლიანთ — დაუჭირონ სადავე და ჭკითსონ უ. ხუდადოვს — მას  
რომელი პრინციპები ატრიალებდენ ქრისტიანობას, საშუალო

საუკუნეების სავგარო ომებს, საფრანგეთის დიდს რევოლუციას, ამერიკის შეერთებული შტატების განთავისუფლებას, იტალიის განთავისუფლებას, ორმოცდა-რვა წელში საფრანგეთის რევოლუციას, ესლანდელ სოციალისტიკურ მოძრაობას და სხვა, და სხვანი?! .. იქნება უ. ხუდადოვა არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს ამ საქვეყნო მოვლენებს? მაშ ადლოს გერძო ცხოვრება არამცთუ მთელი საზოგადოებისა, ხალხისა, მთელი კაცობრიობისა, აიღოს ცხოვრება ყოველა ცალკე პიროვნებისა და გასანჯგოს, რითა ხელმძღვანელობს კაცი, მომეტებულ ნაწილათ, თავის ყოველ ნაბიჯის გადადგმაში, თუ არ უნებობით პრინციპით. ეტყობა უ. ხუდადოვი, თავისი სპეციალური ხელაზის გამო, შემდგარა ბოკლესა და დარვინის სწავლასედა და ჭკობიბა, რომ მთელი კაცობრიობის აზრიც გაჩერდა მათხედაო მოტყუებულა. არამც თუ რუსეთის გამორჩენილი მწერლები — დობროლინოვი, შინაილოვსკი, შხედრინი, ლავროვი და მჩაკალნიც სხვანი უპირატესობას აძლევს ყოველ მოძრაობაში უნებობით პრინციპებს, არამედ საქვეყნოთ განთქმული იგილასოფოსებიც იმათში ჭხუდავენ ესლა დიდებულ ძალას. აიღეთ სპენსერის «სოციალოგიის საფუძვლები», ტაილორის, მენის, ლებოვის ნაწერები, და იქა ნახვოთ, რა ნაირ ჰედისტალსედ აუენებენ ესენი უნებობით პრინციპებს კაცობრიობის ცხოვრებაში. გურგენიძის არითმეტიკული შეცდომილება კი არ არის საყურადღებო, ის არის გასაკვირველი, რომ უ. ხუდადოვი ასე ჩამოჩინობილა ახლანდელ მოძრაობას ევროპის მოწინავე აზრისა. აი ამაყი უმეცრება და უმეცარი ამაყობა. შორს წასვლა რაღათ გინდოდათ! მაგრამ მანც მიწა ნუ გასვდება და ნურავის ჩაიტანს შიგა. რათა? დეე უკვლახფერმა იტოცნლოს და იტრიალოს. მერე თითონ ეს ტრიალი გადასწვეტავს საქმეს — კარგი თავის-თავათ გადირჩევა ცუ-

დიდგან, თავის-თავით გააძეებს უკანასკნელსა). პირველი შე-  
ცდომილება უ. ხუდადოვისა ეს განჯაჲსთ. მეორე კიდევ ისა,  
რომ სოფლის სკოლას ვითომ არა რაიმე გავლენა არ შეუძლიან  
იქონიოს ხალხსედაჲ. არ არის წარმოსადგენიო, (რატომ?)  
რომ ზნეობრივი სიწმინდე შეინარჩუნოს გლეხმაჲ, რადგან  
ცხოვრებაში მარტო გლეჯა-ფლეჯათაჲ და თითონაც უნდა გა-  
ვლეჯოს მეზობელი, მეკობარი, ძმაო, თორემ თუ ის არავის  
შთანთქავს, მაშინ იმას შთანთქავენო. ასეთი სურათები მეიო-  
ბენ სოფლის ცხოვრებაშიო, გლეხს ყველა ეუბნება — იშოვნე  
და მომიტანეო. მარტო ეს ყოველად მიფლობელი ბრძანება ესმის  
გლეხს ბატონისაგან» (ავი კნიაზი უთუოდ ხალხის მცარცველი  
არ უნდა იყოსო! 175 გვერ.), მოხელესაგანაც (ავი პრისტავი  
ყოველ ცხოვრების მოვლენას ქრთამით და ამის წოდებით  
არა ზომავსო! 175 გვერ.), მღვდლისაგანაც. თუნდ ტყავი გა-  
ძროს, უნდა იშოვოს. არც შეწყენარება, არც ქრისტიანული სი-  
ყვარული. მასსადაძე აწინდელი კაცთა ურთი-ერთობა ყოველს  
წუთს, ყოველს ნაბიჯში მარტო ერთს უმტკიცებს გლეხს: მის  
მონობას, ყმობას. (178 გვერ.) (მაშ საწყალ შაქროს რაღა-  
ზედ გააძეეთ ტყავი მეტივეების დაწკრისგამო! შაქროვებიც მაგ  
სურათებისაგან არ არიან გამწვავებულნი და, როგორც შეუძლი-  
ანთ, მაგ სურათებს არ ებრძვიან?!.) ეს ყველაფერი კარგია, მაგ-  
რამ ძნელი ის არის, რომ ამ სურათებიდგან უკიდურესობაში  
გადადის უ. ხუდადოვი და იძახის, რომ გლეხის ზნეობითი აღ-  
ზნდა უნაყოფოა, თუჭი იქნებაო, რადგან ვერ გამოიყენებსო,  
ამიტომ სოფლის სკოლა არ არის საჭიროო. ეს დიდათ შემც-  
დანი არაია. თუმცა სასარკელი სახანავა ჩვენი გლეხის ცხოვ-  
რების სურათი, მაგრამ მისი ზნეობითი ძალა მეტათ გამოასჩინი  
და დიდია. გლეხის პატიოსნება, ნამუსი, სიტყვაში, სიმაგრე,

მოწყალებს, სიყვარული, შიშვალებს და სხვა ზნეობითი ღირსებანი ბევრით მაღლა დგანან. თითოან ჩვენი განთლებული საზოგადოების თვისებასთან. ამას უმომკებენ «შაქროებიც», გურგნიძეებიც, მოჩხუბარიძეებიც. თქვენი მოსურებულებიც, ყოველი თვალ-ხილული და ბრმა სულ-დემულიც, და უ. ხუდადოვისა კი ბრკატი. და თუ სასაღსო სკოლაც ზნეობით პრინციპებსედ დადგება, უეჭველია, უფრო მკვიდრი და მტკიცე ხასიათი მიეცემა გლეხის ზნეობასა, უფრო ცნებაში მოყა მისი ზნეობითი მხარე.

## V

როდესაც ამ გვარად, აწივის სიმაღლე-დგან გადაკლებს თვალს უ ხუდადოვი, ბოლოს უეღურ (?) ჭეშმარიტებისა და გზის მაძიებელ სასა-გაზდას უჩვენებს «უეკდავების წყაროს», რომელიც დაგუბებულია მისი აზრით მარტო ერთში: «ვრცელ საფუძვლიან შეთვისებაში ევროპიულის მეცნიერებისა, მის მეთოდისა». აწ დაიჯერო, მკითხველს ეს მხოლოდ მკვახე და უაზრო ფრაზაა — «უეკდავების წყაროს» ნურც ეძებ და ვერც იპოვნი ვერსად. აკერა, გეტე უ. ხუდადოვსედ ბრძენი და ნასწავლი კაცი იყო. იმან დასწერა ერთი ტრაგედია, «ფაუსტია», სადაც გამოიყვანა ევროპიული კაცი, რომელსაც მთელი ქვეყნის სწავლა მიუღია, მაგრამ ამისთანა ტანჯვაში, სწავლის გამო, არც ერთი უსწავლევი კაცი არ ჩავარდნილა. არც ევროპიულთ და არც ამერიკულთ ჯერ არ იცინან და ვერც მისწოდებინან კაცობრიობის უკანასკნელ, ბოლო მიზანს. მხოლოდ ყოველმა კაცმა უნდა დაიხატოს თავისი დასჯობებითი მიზანი ცხოვრებაში და



ემსახუროს მას. ვინც კი ქვეყნის მოკეთე და ბძენი. ჭკუიანი, პატრიოსანი გამოჩენილი კაცი ყოფილა, უკვლას უთქვამს კაცობრიობისთვის: არ ვიცი, ვერ მივხვდით, რა აზრით გაგაკვინა ჩვენ ღმერთმა; მაგრამ ის კი ვიცი, რომ კაცი უნდა ცდილობდეს თავის მოყვასის პატივს ცემას, სიამოვნებას, ქვეყნის საზღვრებს, სამშობლოსა და მთელი კაცთა ნათესაობის სიუფარულს. ვინც ამას პატრიოსნულად მისხურება, იმაზედ ბედნიერი და სვინდის დაწინაურებული ადამიანი არ ვინ არის. ეს უნდა იყოს თქუნი მიზანი, ეს არას თქუნი ჭეშმარიტება ამა ქვეყანაზედა. რომ უკეთ აღასრულოთ ეს უმთავრესი მიზანი, ამის საშუალებად ივარგებს თვალის გახელა, ავკარგის გაკება, სწავლა და მეცნიერება. ამ სახით სწავლა უკვდავების წყარო კი არ არის, ის მხოლოდ კარგი საშუალებაა მაზნის აღსასრულებლად, ე. ი. ზნეობითი პრინციპების გასამდიერებლად. ამ სწავლას ელტვის უკვლა. საქროებიც დიდ ძალათა სთვლიან მას, ცდილობენ მის მიღებას და ძლიანაც საჭიროებენ, როგორც ყოველი ჭკუიანი და შეგნებული კაცი. მაგრამ კაცს სწავლა უნდა ცხოვრებისათვის და არა ცხოვრება სწავლისათვის.

ბოლოს ერთი შენიშვნაც. კაცი როდესაც იწუნებს ერთს რასმეს, იმან უნდა აიღოს მისი დედააზრი და შეუკადლოს თავის საკუთარ დედააზრს. აი, ესაა მეც თითონ არ მომწონს ჩვენი ნაწერები, მაგრამ უხუდადოვს ვერ ვეთანხმები, რადგან მისი დაწუნება უსაფუძვლოა, ფრანკულად ამხუებული, უპრინციპო. ესაა მე თუ ვამართლებ უუ. საქროს, გურგინის და სხვა ასალ-გასდებს, იმიტომ კი არა, რომ მე იტინი საშინლად უნაკლულო მეგობარს. არა, მე ბევრ ნაკლულებთან ვზოკვებ, მაგრამ მაინც ვესარჩლები, რომ ამკარად ვაჩვენო უ. ხუდადოვს მისი კრიტიკის უაზრობა, უსამართლობა და ამყობა.

ეკ კრიტიკა კი არ არის, ეკ ლიტერატურული ბაში-ბუზუ-  
 კობაა, რომელსაც მე ყველასე ნაკლებ მოკვლადებოდე უ.  
 ხუდადოვისაგან შემდეგ მისი დაბნისელი, თუმცა მრავალ ნაკლუ-  
 ლეკანებისანი სტატისისა, უ ჭკეჭკვადის «ცხოვრება და განაზის»  
 გარჩევაში. მართლაც, რა მიზნია რომ უ. ხუდადოვი  
 ჭკეჭკვადის ისე კონვიანობით ევიდება, და ახალ გაზდა მწერლებს,  
 რომელთაც უფრო ნაკლები დანაშაული აქვთ მწერლობაში, ასე  
 ტყავს ამბობს? ევროპიული მეთოდის ბრალი ხომ არ არის ესა?  
 მას დობროლიუბოვი რომელ მეთოდისაგან იდგა, რომელსაც იმან  
 დანაკისი გამოჩენილი ჯ პეტრესაცემი პირმოკვის ავტორიტეტი,  
 რომელსაც უკანასკნელმა მომხრეობა გამოუჩინა «როზგებს»? ანუ  
 ისავე დობროლიუბოვი რათ აქებდა უნიჭო მარგო ვოვჩიკის ნა-  
 წიქის, რომლებიც შეხებოდნენ გლეხთა ცხოვრებას, და რა-  
 ტომ შექმნილ-მიღერებულ არა ოცნებობდა? არ გახსოვსთ,  
 ამის გამო რა ნაირათ დასცინეს ხელფანების მომხრეთა დობ-  
 როლიუბოს — მართლაც, მარგო-ვოვჩიკი დიდებული მწერა-  
 ლია, მაგრამ არც შექმნილია ურიგო ბიჭია! თქვენც ხომ ასე  
 არ დასცინათ დობროლიუბოს? საინტერესოა ვიცოდეთ.

ბოლოს მოუთმენლად ვილაღებით იმ დროს, რომელსაც  
 სხვა თქვენი ნაწერებით არ გამაზრთლებთ თქვენ თავსეღ «კეფი-  
 ვის-ტყაოსნის» სიტყვებს:

„სიბერე მახლავს, დავლიე სიუმაწვილისა დღენია.»

სტ. ჰრელაშვილი.

1882 წლის ჟურნალ „იმედზედ“ ხელის მოწერა მიიღება ქ. თბილისში—მხოლოდ რედაქციაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზედ, ნემენცების სასაფლაოსთან, № 12.

გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: **Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго журнала «ИМЕДИ».**

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ქალაქებში და თბილისში შინ მიტანით — — — 8 მან.  
 ნახევარი წლისა — — — — — 4 მ. 50 კ.  
 სამი თვისა — — — — — 2 მ. 50 კ.  
 ცალკე ნომერი ღირს — — — — — 1 მ.

ვისაც ჟურნალი მისდისთ და სვედრი ფული ჯერ არ შემოუტანიათ, ეთხოვთ მალე გამოგზავნონ.

ვისაც რომელიმე ნომრები ჟურნალისა არ მისვლიათ, ან არ მიუვიდესთ, ეთხოვთ გვაცნობონ და დაკარგული წიგნები გაეგზავნებათ ხელახლად.